



# ყვარლი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 60 თეთრი



**იყავით მუღამ  
გაზაფხულივით  
მშვენიერი**

**გილოცავთ 8 მარტს, ქალბატონებო!**

დღეს ჩვენ გაზაფხულისა და სიყვარულის დღესასწაულს აღვნიშნავთ. ეს არის დღე, როდესაც მამაკაცები ვცდილობთ, განსაკუთრებულად ვიზრუნოთ ქალების ამაღლებულ განწყობაზე.

გილოცავთ 8 მარტს, ძვირფასო ქალბატონებო! გისურვებთ ჯანმრთელობას, ზედნიერებას და წარმატებას თქვენთვის სასურველ გარემოში და ძვირფასი ადამიანების გვერდით!

არასოდეს დაივიწყოთ, რომ ყოველი თქვენგანი – ალამაზებთ სამყაროს და უნიკალურს ხდით მას. სიყვარულით გაგთენებოდეთ ყოველი დღე, იხარეთ და იბედნიერეთ, რადგან თქვენს ხელშია კაცობრიობის მომავლის ბედ-ილბალი!

**დავით ქავსიშვილი**  
ყვარლის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავჯდომარე

**როსტომ სესიაშვილი**  
ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი



## მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესიაზე

2018 წლის 5 მარტს გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, სხდომას უძღვევოდა საკრებულოს თავჯდომარე დავით ქავსიშვილი. სხდომაზე დამტკიცებული იქნა ყვარლის მუნიციპალიტეტის

2018-2021 წლების ახალგაზრდული სტრატეგია. განკარგულების პროექტი წარმოადგინა განათლების, კულტურის სპორტული და ახალგაზრდული საქმიანობების სამსახურის უფროსმა სვეცია-

ლისტმა, ნინო ნაზრიშვილმა. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა: „ყვარლის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგიის“ მიზანია, დაარეგულიროს იმ საკითხთა ფართო სპექტრი, რომელიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 14-29 წლის ახალგაზრდებს ეხებათ. სტრატეგია ეფუძნება „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს“, მუნიციპალიტეტში არსებული სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ის განსაზღვრავს სერვისების, პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვასა და მიწოდებას ყვარლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის მომდევნო 4 წლის განმავლობაში. 2014 წლის 2 აპრილს საქართველოს მთავრობის

№533 განკარგულებით დამტკიცდა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე



## საგაგებობო პალეზი დასრულებული სამუშაოები დაათვალიერეს

21 თებერვალს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ სესიაშვილმა მოინახულა შილდის, მთისძირისა და ზინობიანის საბავშვო პალეზოში დასრულებული კეთილმოწყობის სამუშაოები. ყურადღება გაახვილდა აგრეთვე პალეზოში არსებულ სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე. გარკვეული მითითებები და რეკომენდაციები მიეცათ. გაერთიანების დირექტორს მათა სამიტაშვილს და საბავშვო ბაგა-ბაღების კოორდინატორებს. ყვარლის მერთან ერთად დათვალიერებულ იმყოფებოდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე – დავით ქავსიშვილი; თავმჯდომარის მოადგილე – ვანო მამულაშვილი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ნინო ხუციშვილი და მაჟორიტარი დეპუტატები.

## ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიანი განხილული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში, ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე, განხილულ იქნა უახლოეს მომავალში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები. მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ სესიაშვილმა აქტუალურ თემა დადასახეულა ყვარელთან დამაკავშირებელი ცენტ-

რალური გზების და გზისპირების საკითხი, რომელიც სწრაფ რეაქციაში მოსაგვარებელი პრობლემების სიის თავში იმყოფება. გზებზე და გზისპირებზე არსებული ჯაგები და ხე-მცენარეები არასათვითურ და არაჯანსაღ ფონს უქმნიან ტურისტულ გარემოს, რითაც მდიდარია ჩვენი მუნიციპალიტეტი. გამოიკვეთა საჭიროება,

ახსნა-განმარტებითი მუშაობა წარმართის მოსახლეობის იმ ნაწილთან, რომელთა სამუშაო საფარეოები გზების და გზისპირების მიმდებარედა განთავსებული, გაასუფთაონ და წესრიგში მოიყვანონ ტურისტული ზონების მიმდებარე ტერი-

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

## ახალი პროექტი, რომელიც გააუმჯობესებს მოქალაქეთა მომსახურებას

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის და არასამთავრობო ორგანიზაცია „World Vision“-ის პარტნიორობით დაიწყო მუშაობა პროექტზე, რომლის მიზანია გააუმჯობესოს მოქალაქეების მომსახურება ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში.

პროექტი ითვალისწინებს არსებული მიმართულებით თანამედროვე მიდგომების დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფრო სწრაფად, ეფექტურად და ხარისხიანად მომსახურებას.

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა ინტერაქტიურ პროცესში, სამუშაო ფაუნის დიდი ჩართულობით.

სამუშაო ფაუნის მზადაა, გარკვეული დროის განმავლობაში ჩამოაყალიბოს აღნიშნული დოკუმენტის სტანდარტი, მისი შემდგომი განხორციელების მიზნით.

პროექტი ხორციელდება მონვეულ კონსულტანტთან თამარ ტურაშვილთან



ერთად, რომელიც გახლავთ შრომისა და ორგანიზაციის ასოცირებული პროფესორი და აქვს დიდი გამოცდილება მომსახურების სფეროში.

## ტურისტული სეზონის უკეთ დასახვედრად

ტურისტული სეზონის უკეთ დასახვედრად 28 თებერვალს დაიწყო ყვარლის მუნიციპალიტეტის ძირითადი გზების, გზისპირების და მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება – მონესრიგება.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი შეხვდა მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელთა სამუშაო საფარეოები განთავსებულია მუნიციპალიტეტის ძირითადი გზების და ტურისტული ზონების მიმდებარე ტერიტორიებზე.

შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული ტერიტორიების დასუფთავება-მონესრიგება მოხდება მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის ერთობლივი ძალებით, მერიის კუთვნილებაში არსებული ტექნიკის დახმარებით.

აღნიშნული ღონისძიების მიზანია, შეიქმნას უფრო სუფთა და მიმზიდველი გარემო ტურისტებისა და ვიზიტორებისათვის.



## მუნიციპალიტეტის მერმა ახალი ხელმძღვანელი წარადგინა

ა(ა) კულტურული მემკვიდრეობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელ და დასასვენებელი ობიექტების დაცვისა და განვითარების ცენტრის თანამშრომლებს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა, როსტომ სესიაშვილმა წარუდგინა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი დიმიტრი სოლომონიშვილი. შეხვედრას ესწრებოდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილე გივი ზაუტაშვილი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომიტეტის თავჯდომარე ზურაბ კაპანაძე. შეხვედრის შემდეგ დაათვალიერეს „ილიას ტბის“ ტერიტორია. როსტომ სესიაშვილმა ა(ა) იპ-ის ახალ ხელმძღვანელს დაავალა პრიორიტეტული სამუშაოების უმოკლეს დროში დამთავრება, რათა ტურისტული სეზონის დაწყებამდე შესაბამისად მონესრიგდეს ინფრასტრუქტურა.



# მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესიიაზე

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ხედავ აღიარებს, რომ გრძელვადიანი დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ახალგაზრდობა ქვეყნისათვის განსაკუთრებულ ფასულობას წარმოადგენს. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის 349 განკარგულებით დამტკიცდა ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმა. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, როგორც ახალგაზრდებთან ყველაზე დაახლოებულ ინსტიტუტებს, განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმის, უმეტესწილად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთქმედებაში. არსებობს ბევრი ისეთი სერვისიც, რომლის კონტროლს ან განხორციელებას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ. გამომდინარე აქედან, აუცილებელია არსებობდეს ახალგაზრდობის განვითარების მხარდაჭერის მუნიციპალური სტრატეგია, სადაც გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპეციფიკური საჭიროებები და ინტერესები და შემუშავდება შესაბამისი მიდგომები და პროგრამები, რომლებიც ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება. სტრატეგია შემუშავდა სხვადასხვა დანიტერესებულ

მხარეებთან პარტნიორობისა და კონსულტაციების შედეგად. მათი აქტიური მონაწილეობა მხარდაჭერილი იქნება მისი განხორციელების შემდგომ ეტაპებშიც, ვინაიდან ახალგაზრდობის წინაშე არსებულ ბევრ გამოწვევათა და პრობლემათა დაძლევა შეუძლებელია მხოლოდ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ძალისხმევით. სფეროში მოქმედი ყველა აქტივის ჩართულობა, მათ შორის თანამშრომლობის განვითარება და საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა, ახალი კავშირების და პარტნიორობების დამყარება სტრატეგიის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპია. ახალგაზრდებს აქვთ უფლება, მიიღონ მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მათ ეხება. შეუძლებელია პოზიტიური ცვლილებების მიღწევა მათ გარეშე, ვისაც ეს ცვლილებები ეხება. სტრატეგიის ხედავ, მიზნები, ამოცანები და სამოქმედო გეგმა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობით შემუშავდა, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო მათი იდეებისა და უკუკავშირის გათვალისწინება დოკუმენტში. ახალგაზრდების ეფექტიანი მონაწილეობა გარანტირებული იქნება სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესებშიც. სხდომას ესწრებოდნენ და განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს World Vision საქართველოს „კახეთის საზოგადოებრივი განვითარების პროგრამის“ მენეჯერმა ნანა ათუაშვილმა და ექსპერტმა ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხებში რატი ჭიჭიშვილმა. დღის წესრიგის თანახმად, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერს მიეცა თანხმობა „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერჯეტიკისათვის“ ხელმოწერაზე. ასევე დამტკიცდა დადგენილების პროექტი ყვარლის მუნიციპალიტეტის დადგენილებებში ცვლილების შეტანის თაობაზე.



## ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის განხილული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

ტორიები. აღნიშნული ტერიტორიების დასუფთავება – მონესრიგება მოხდება მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის ერთობლივი ძალისხმევით, მერიის კუთვნილებაში არსებული ტექნიკის დახმარებით. ლონისძიების მიზანია, შეიქმნას უფრო სუფთა და მიმზიდველი გარემო ტურისტებისა და ვიზიტორებისთვის. თათბირზე საუბარი შეეხო ყვარლის ცენტრალურ ქუჩებზე არსებულ ღვარამებზე არსებს, რომლებიც წლიობით ნაგროვები ნარჩენებისაგან გასუფთავდა და გაიწმინდა მერიის დავალებით, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის მიერ. იქვე ითქვა, რომ სხენებული სამუშაოები მუდმივ რეჟიმში განხორციელდება. აღინიშნა, აგრეთვე სკოლაშენი ალზრდის დაწესებულებების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, სამზარეულოების განახლება და ინვენტარით აღჭურვაზე, რაც წარმატებით მიმდინარეობს ბალოჯიანის, შილდის, მთისძირის და ზინობიანის საბავშვო ბაგა-ბაღებში და მალე დასრულდება. საზოგადოება – მუნიციპალიტეტის სოფლებში გამართულ ტრადიციულ რელიგიურ დღესასწაულებს. როსტომ სესიაშვილის მიერ წინადადება იქნა წამოყენებული – მუნიციპალიტეტმა დააინტერესოს ადგილობრივი კომპანიების წარმომადგენლები, ხელი შეუწყოს ქართული ჭიდა-

ობის განვითარებას და დაწესოს პრიზები, რომლებიც მოტივირებულს გახდის მოჭიდავეებს, ასეთი სახის ტურნირებში მონაწილეობისათვის. ხოლო, კულტურის სამსახურის თაოსნობით და ადგილობრივი ანსამბლების მონაწილეობით გაიმართოს საზეიმო კონცერტები, რომლებიც მოიზიდავს მოსახლეობას და დღესასწაული გახდება ხალხმრავალი. მუნიციპალიტეტის მერმა ისაუბრა აგრეთვე, სოფლებში არსებული გზების საფალაო მდგომარეობაზე და მათი მოხრეშვის სამუშაოებზე, რომელიც ჩატარდება მერიის ძალისხმევით, მოხდება ტექნიკისა და ტრანსპორტის მობოლიზება, გამოყენებული იქნება დურუჯის ინერტული მასალა და მოხრეშვის სამუშაოები დასრულდება მარტის ბოლომდე. თათბირზე, არც მწყობრიდან გამოსული ელექტრო გადაძველები ხაზები დარჩენილა ყურადღების მიღება, რომლებიც სამშრომლებს უქმნიან მოსახლეობას. მიღწეული შეთანხმება კომპანია „ენერჯიკო-ჯორჯიასთან“ და მარტის თვიდან დაიწყება საყრდენების შეცვლა. დასასრულს, ბატონი როსტომ სესიაშვილი შეეხო ინფრასტრუქტურული პროექტების საკითხს, რომელთაც საქართველოს მთავრობა აფინანსებს და მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების მოსაფლავებას და სასმელი წყლის რეაბილიტაცია ითვალისწინებს.

**ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია მწუხარებაში თანაგრძნობას უცხადებენ გიორგი არჩუაშვილის ოჯახს შვილის ოთარ არჩუაშვილის ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.**

# იმ მედიკამენტების ჩამონათვალი იზრდება, რომელსაც მოსახლეობის ნაწილი 1 ლარად შეიძენს



იმ მედიკამენტების ჩამონათვალი იზრდება, რომელსაც მოსახლეობის გარკვეული კატეგორია 1 ლარად ან შეღავათიან ფასში მიიღებს. ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ მედიკამენტების მწარმოებელ კომპანიებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა. „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელსაც რამდენიმე დღეში 5 წელი უსრულდება, ძალიან მნიშვნელოვანი ინტერვენცია მოახდინა ჯანდაცვის სისტემაში, თუმცა როგორც ყველა სისტემას, მასაც აქვს თავისი გამოწვევები და პირველ ადგილზე ამ გამოწვევები უდაოდ დგას მინდობილია ამბულატორიულ მედიკამენტებზე სოციალურად დაუცველი

მოსახლეობისთვის. იმ კერძო-სახელმწიფო თანამშრომლობის რამდენიმე მაგალითმა, რომელიც ამ წლების განმავლობაში გვექონდა, ასევე შარშან დაწყებულმა პროგრამამ, რომელიც ითვალისწინებდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის მედიკამენტების მიწოდებას, ცალსახად დაგვანახა ერთი მხრივ, საჭიროება ამ პროგრამის გაფართოების, ხოლო მეორე მხრივ, იმ რესურსის არსებობა, რომელიც არის როგორც ფასდაკლების მხრივ, ასევე კერძო-სახელმწიფო პარტნიორობის განმტკიცების მხრივ. დღევანდელ შეხვედრაზე გაცვალეთ მოსაზრებები და ნამდვილად შევერს, რომ ამ მხრივ შედეგები გვექნება ძალიან მაღალი“, – განაცხადა სერგეენკომ.

## რა უნდა გააკეთდეს, მედიკამენტები სელმისაწვდომი რომ იყოს? – შეხვედრა ჯანდაცვის სამინისტროში

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ორი კვირის შემდგომ კვლავ ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე ფარმ-ინდუსტრიის წარმომადგენლებმა მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის თაობაზე საკუთარი ხედავ წარმოადგინეს. ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, ორი კვირის განმავლობაში ადგილობრივ და საერთაშორისო მწარმოებლებთან ინდივიდუალური სამუშაო შეხვედრების ფორმატში, განხილული იყო თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები. წარმოდგენილი იყო შემოთავაზებები იმისთვის, რომ ქრონიკული დაავადებების სამკურნალო 50-მდე მედიკამენტზე გაიზარდოს ხელმისაწვდომობა. პროექტის მიხედვით სოციალურად დაუცველი მოქალაქეები მედიკამენტებს ისევე სიმბოლურ ფასად – 1 ლარად მიიღებენ. პენსიონერები და შშმ პირები კი მიიღებენ უნდა განვითარდეს: გაფართოვდეს ბენეფიციართა წრე და გაიზარდოს მედიკამენტების ნუსხა. „უნდა შეიქმნას პირობები, რათა მედიკამენტების ფასმა დადებითი სერგეენკომ



პროგრამასთან დაკავშირებით საკუთარი შემოთავაზება გაცნო ჯანდაცვის მინისტრს კომპანია შსპ-ს წარმომადგენელმა. გიორგი რამიშვილის თქმით, პროგრამა რამდენიმე მიმართულებით უნდა განვითარდეს: გაფართოვდეს ბენეფიციართა წრე და გაიზარდოს მედიკამენტების ნუსხა. „უნდა შეიქმნას პირობები, რათა მედიკამენტების ფასმა დადებითი სერგეენკომ

ფიციარებისთვის, არამედ მოსახლეობის სხვა ჯგუფებისთვის. ამისთვის შესაძლებელია რამდენიმე მეტოლოგიის კომბინაცია“ – აღნიშნა გიორგი რამიშვილმა. პროექტის მთავარ მიზანს ბენეფიციართა წრის გაფართოება, დაავადებებისა და მედიკამენტების ჩამონათვლის გაზრდა წარმოადგენს. მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაფართოება ეტაპობრივად დაინიშნა.

## მა თვითონ უნდა მევლო ალბათ რაბიონებში და განემარტა მედიკამენტების პროგრამის მნიშვნელობა – დავით სერგეენკო

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ადასტურებს, რომ მედიკამენტების პროგრამით მოსარგებლები ადამიანების რიცხვი მცირეა. როგორც სერგეენკომ პარლამენტში, საკომიტეტო მოსმენაზე განაცხადა, ამის მიზეზი ბიუროკრატიული ბარიერები და საინფორმაციო კამპანიის ხარვეზებია. „14 000-ზე მეტმა ადამიანმა ისარგებლა ამ პროგრამით, თითოეული მათგანი მნიშვნელოვანია. მუდამ გვექნება ეს კითხვები, რომ შესაძლებელია ამ პროგრამით სარგებლობის აქვს ბევრად მეტს, თუმცა სარგებლობს ძალიან ცოტა. რისკების შეფასება გავაკეთეთ რამდენიმე მიმართულებით: ხომ არ იყო ადმინისტრირების ბარიერები ანუ რთული ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვა ხომ არ უნდა პაციენტს მედიკამენტების საყიდლად. ვნახეთ, მაგრამ არა დომინანტი პრობლემა, რომელსაც მოვეუბნა. კერძოდ, ეს არის ელექტრონულ რეცეპტზე გადასვლა, როდესაც პაციენტს ქალაქის ნაღებაც კი არ დასჭირდება, ანუ ადმინისტრირება გაძლიერდება. მეორე მხარე რამაც ასეთი დაბალი რიცხვი გამოიწვია, არის

საინფორმაციო კამპანიის ხარვეზი. მე თვითონ უნდა მევლო ალბათ რეგიონებში და მე თვითონ უნდა განემარტა ამ პროგრამის მნიშვნელობა“, – განაცხადა სერგეენკომ. მიხედვით თქმით, მედიკამენტების პროგრამის პირველი ეტაპი გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველებზე. „ჩვენ გავაკეთეთ მრავალრიცხოვანი შეხვედრები, რომლებზეც ვსაუბრობდით, თუ როგორ არის შეფასება, მიმდინარეობა, შედეგები და პერსპექტივა. იმისთვის, რომ ეს შეაფასო, გჭირდება ნახევარი წლის მონაცემები“, – აღნიშნა მინისტრმა.



# მრავალშვილიანობა არის ქვეყნის სიძლიერე და ერის მომავალი



## მადლობა უფალს, რომ მომანიჭა მეტარეობა და ეს ჯვარი

ნინო კიკნაძე-ბალიაშვილი, – ყვარლის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმი – სტომატოლოგი მუელისთან და შვილს შვილთან ერთად ლტოლვილის სტატუსით ამჟამად ცხოვრობს სანჯარდოში. ქალბატონმა ნინომ და მისმა მეუღლემ საინტერესო და რთული ცხოვრების გზა განვლეს. მეუღლე, ბატონი რამაზი სოხუმის რაიონის სოფელ გულრიფშიდანაა, ვერ კიდევ სოხუმის დაცემამდე შექმნეს მათ ოჯახი და პირველი შვილიც შეეძინათ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, დღეს ბედნიერი ოჯახია და ამჟამად შვილებით. ვაჟ-ფშაველას ეს სიტყვებიც – „ლამაზად შვილის გამზრდელი, დედა მიცენია ღმერთადო“, – სწორედ, რომ მას უნდა მივუსადაგოთ.

ყველა სუსტი სქესის წარმომადგენელი უნდა ცდილობდეს სამშობლოს რაც შეიძლება მეტი შვილი ალუზარდოს, ოჯახი მტკიცე გახადოს და მათი გახიზნოს. ოთხი ვაჟი და სამი ქალიშვილი – ამაზე მეტი საამაყო და სასიხარულო სხვა რა უნდა იყოს მშობლებისთვის, ხოდა ამჟამად კიდევ კიკნაძეებთან შთამომავლებიც. დედის დღესთან, 8 მარტთან და გაზაფხულის მოსვლასთან დაკავშირებით გავესაუბრეთ მრავალშვილიან დედას, ქალბატონ ნინოს.

**– ნინო, პირველ რიგში გილოცავთ ამ სადღესასწაულო დღეებს, გისურვებთ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას თქვენს მრავალშვილიან ოჯახთან ერთად. თუ შეიძლება გვიამბეთ თქვენი მრავალშვილიან ოჯახის შესახებ.**

– მე და ჩემმა მეუღლემ ერთმანეთი გავიცანი კახეთში, რომელიც სტუმრად იყო ჩამოსული ნათესავებთან. დაქორწინდით 1991 წელს, 1992 წელს კი შეგვეძინა პირველი ქალიშვილი.

**– როგორც დევნილები, რას გვეტყობთ? როგორ მოხდებოდა სანჯარდოში? როგორც ლტოლვილებმა, შვიდი შვილი გაზარდეთ. ძნელი არ იყო ეს თქვენთვის?**

– სოხუმის დაცემის დროს აფხაზეთში ვიმყოფებოდი ჩემს 1 წლის შვილთან ერთად. ღვთის წყალობით სასწაულებრივად გადავრჩით და უკანასკნელი თვითმფრინავით დავტოვეთ ეს ულამაზესი კუთხე, რის შემდეგაც დაიწყო სამხედრო, გაუსაძლისი ყოფა დევნილობაში და სიღატაკეში. 90-იანი წლები მთელი საქართველოსთვის სამხედრო იყო, მაგრამ დევნილობაში სტუდენტური წლები უფრო გაძირთულა. მიუხედავად ამისა, მეუღლის დახმარებით წარმატებით დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნი-

ვერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი – ექიმის დიპლომით, ერთი შვილი და დევნილი ოჯახის სტატუსით დავბრუნდით ჩემს მშობლიურ სოფელში, სადაც ჩემი და რამაზის ნათესავები გვეყვებოდნენ. ისინი შეძლებისდაგვარად დაგვიდგნენ მხარში.

მრავალშვილიანობა მძიმე ჯვარია. თუ მორწმუნე ხარ, თელი, რომ თითოეული პატარა უფლის ნყალობაა. მამა პაისი ამბობს: მრავალშვილიანი ოჯახები ღმერთს განსაკუთრებით უყვარს, მათზე იგი განსაკუთრებულ ზრუნვას ავლენს“. მართლაც ღმერთის იმედი როცა გაქვს, უფრო გიადვილებდა კარს მომდგარ პრობლემებთან ჭიდილი.

**– პარალელურად თან მედიცინას ეუფლებოდით და თან მრავალშვილიან ოჯახს ქმნიდით. ხელისშემშლელი არ იყო ეს ყველაფერი სხვაგვარად ვინ გეხმარებოდა?**

– სტუდენტობის წლებში ერთი შვილი მყავდა. მის გაზრდაში დედა და მეუღლე მუშაობდნენ. თუ სწორად გავრდი შვილს, ის გეხმარება შემდეგ თავისი და-ძმების მიხედვით. უფროსები ყოველთვის მხარში მედგნენ, ზრუნავდნენ უმცროსებზე. უმცროსებს კი უფრო და პატივს სცემენ უფროსებს. ეს სიყვარული და პატივისცემა მრავალშვილიან ოჯახებში ბუნებრივად წარმოიშობა ისე, რომ ერთმანეთის დამხმარეები აღმოჩნდნენ ჩემი შვილები.

**– რას გვეტყობთ თქვენი შვილების შესახებ. რას საქმიანობენ, უფროსებმა ალბათ უკვე დაამთავრეს სკოლა და სტუდენტები არიან. რომელიმეს დედის პროფესია თუ იტაცებს?**

– უფროსი ქალიშვილი თამაზ არქიტექტორია. ორი თვის წინ გათხოვდა. მისი მეუღლეც აფხაზეთიდან დევნილია. მეორე ქალიშვილი ანანო ფილოლოგია. საბა წელს ჩაირიცხა თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში ტექნოლოგიის ფაკულტეტზე. პეტრე, გიორგი, იოანე და ეკატერინე სკოლის მოწინავეები არიან. იმედა ერთ-ერთი მათგანი არჩევის დედის პროფესიას, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროფესიის გამო დედა ხშირად არ არის სახლში.

**– დედა საქართველოს მთავრობა მრავალშვილიან ოჯახებს დახმარებას სთავაზობს ეკონომიური პირობების თვალსაზრისით. თქვენს ოჯახს ამ ხნის ამბიულზე ადგილობრივი რაიონის ხელმძღვანელობისგანაც თუ შტონია ეს შეთავაზება. რას გვეტყობთ ამის თაობაზე?**

– როგორც მრავალშვილიანი დედა, რაიონის

გამგებობიდან ახალ წელს, დედის დღეს და აღდგომას ვიღებთ ფულად საჩუქარს, რისთვისაც რა თქმა უნდა, მადლიერი ვართ. ქვეყანაში, სადაც დემოგრაფიული პრობლემები მძვინვარებს, მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი განსაზღვრული არ არის. ასეთი ოჯახებისადმი დამოკიდებულება განსაკუთრებული უნდა იყოს. მრავალშვილიანობა არ უნდა ასოცირდებოდეს სოციალურად დაუცველის სტატუსთან.

საერთაშორისო კვლევებით, ჩვენი ქვეყანა დემოგრაფიული მდგომარეობით კატასტროფის პირასაა. ამიტომ საჭიროა ასეთი ოჯახების წახალისება და მხარდაჭერა, რათა მათმა შემდეგდარეებმა მეტი შვილი იყოლონ.

უპირველესად უნდა დაიმსხვრეს ამჟამინდელი სტერეოტიპი მრავალშვილიანობისა, რომელიც ასოცირდება მუდმივად მონუნუნე და მოტირად დედებთან და უფრო უარესი, მამებთან, დაუბანელ, ფეხშიშველ და სკოლაში არ და ვერ მოსიარულე ბავშვებთან, რომელთა ხშირი გამოჩენა ტელევიზიებში ზიზღსა და აგრესიას იწვევს მოსახლეობის უმრავლესობაში თანაგრძობის ნაცვლად.

**– როგორ ცხოვრობს შვიდშვილიანი ოჯახი, თქვენს დღევანდელ პრობლემურ საკითხებზე**

**თუ ისაუბრებდით. ჩვენი გაზრდის საშუალებით თქვენს გულისტკივილს ხომ არ გავიზიარებდით?**

– მრავალშვილიანობა არის ქვეყნის სიძლიერე და ერის მომავალი, მაშინაც უფალს, რომ მომანიჭა მეტარეობა ეს ჯვარი.

არ მინდა დავემსგავსო მონუნუნე მრავალშვილიან დედებს. თქვენი გაზრდის საშუალებით მინდა მოეწოდო ყველა დედას, რომ ოჯახის ყველაზე დიდი სიმდიდრე შვილებია. თითოეული შვილისთვის ყველაზე დიდი საჩუქარი მშობლისგან დედამამშვილია. დანარჩენი ყველაფერი უსულო და ნივთიერი წარმავალია.

როგორც ცხოვრობთ? მე და ჩემი მეუღლე ვცდილობთ ჩვენი ვატოსანი შრომით ვარჩინოთ ოჯახი. შეძლებისდაგვარად ვულამაზებთ ბავშვებს ცხოვრებას. მათ თვალში არის სიყვარულიც და სიხარულიც.

**– სადღესასწაულო დღეებში მეუღლისგან მორთმეული თქვენთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი.**

– დედის დღეს ყოველთვის განსაკუთრებით ველოდები. ბავშვები თავიანთ ნამუშევრებს მწუხინაბოლმე – იების ულამაზეს და სურნელოვან კონასთან ერთად მეუღლეს ყოველთვის მწუხინი საჩუქრებს შობას, ნინობას (ორჯერ), 8 მარტს, დაბადების დღეს. თან ნუნუნებს, რამდენი დღესასწაული გაქვს. რამაზისგან განსაკუთრებით მახსოვს სტუდენტურ წლებში გაზონებზე მოკრეფილი და ქურთუკში ჩაკუჭული ყვავილები. დღესაც კი ის ყველაზე ძვირფასი საჩუქარია ჩემთვის.

**– როგორც მრავალშვილიანი დედა, რას ურჩევდით მანდილოსნებს?**

– ოჯახისთვის მნიშვნელოვანია სიყვარული, პატივისცემა და ღირსება. მე ვფიქრობ, რომ ამ სამი ნების დაცვა მოგვეთხოვება ყველა ქალს და კაცს. ასეთ ოჯახში აღზრდილი შვილები იქნებიან საფუძვლიანი ისეთი საქართველოსი, როგორსაც ყველა ვიცნობთ. ესარგებლობთ თქვენი გაზრდის საშუალებით და ჩემს კოლეგა ყველა ქალს და საერთოდ ქალებს, დედებს, ბებიებს ვულოცავ ამ ღირსშესანიშნავ დღეს, სიყვარული, სიღამაზე, პატივისცემა და ღირსება არ ჩამქრალიყოს მათში.

გამადლობთ.  
ესაუბრა  
დალი ტატულიძე

# ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი: ისტორია და ტრადიციები

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქალთა საერთაშორისო დღეს ყოველწლიურად აღნიშნავენ. ამ დღეს ქალბატონებს ულოცავენ და ცდილობენ მათ ბედნიერება მიანიჭონ.

თავიდან მას წინდა პოლიტიკური ელფერი დაკრავდა და თანასწორობისა და საკუთარი უფლებებისთვის ქალთა ბრძოლის დღე იყო. მაგრამ დრომ ამ დღესასწაულს პოლიტიკური ელფერი დაუკარგა და დღეს ჩვენ გაზაფხულისა და სიყვარულის დღესასწაულს აღვნიშნავთ.

### ისტორია

არსებობს ვერსია, რომ 8 მარტის აღნიშვნის ტრადიცია „ცარიელი ქვაების მარშს“ უკავშირდება, რომელიც 1857 წელს ნიუ-იორკში სამკერვალო ფაბრიკების მუშა-ქალებმა გამართეს. მათი მთავარი მოთხოვნები სამუშაო დღის შემცირება, შრომის ანაზღაურების პირობების გათანაბრება მამაკაცებისთვის არსებულ პირობებთან და საარჩევნო უფლებების მიღება იყო.

თუმცა, დღესასწაულის წარმოშობა გერმანელი კომუნისტის კლარა ცეტკინის სახელს უკავშირდება. 1910 წელს კოპენჰაგენში გამართულ ქალთა ფორუმზე კლარა ცეტკინმა მსოფლიოს მოუწოდა 8 მარტის საერთაშორისო ქალთა დღედ დანსების შესახებ. ამ დღეს ქალებს უნდა გაემართათ მიტინგები, მსვლელობები და ამ ფორმით უნდა ეცადათ საკუთარ პრობლემებზე საზოგადოების ყურადღების მიპყრობა.

1911 წლიდან ქალთა საერთაშორისო დღეს რაც ქვეყნებში ქალები აღიარებდნენ მიტინგებს, რომელიც გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრისკენ არის მიმართული.

რამდენიმე წლის განმავლობაში ქალთა დღეს სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა დროს აღნიშნავდნენ. 1911 წლის 19 მარტს ის გაიმართა ვერმანიაში, ავსტრიაში, დანიაში და სხვა ევროპულ ქვეყნებში. 1912 წელს ქალები საკუთარი უფლებებისთვის ევროპის მასშტაბით 12 მაისს, 1914 წელს კი 8 მარტს იბრძოდნენ.

ხმის უფლება ქალებმა გერმანიაში, ავსტრიაში, უნგრეთში, ჩეხეთში 1918 წელს, აშშ-ში კი 1920 წელს მიიღეს.

1945 წელს სან-ფრანცისკოში ხელი მოეწერა გაეროს ნუსხეებს, რომელიც სხვა დანარჩენთან ერთად იქცა პირველ საერთაშორისო შეთანხმებდ, რომლითაც გამოცხადდა მამაკაცისა და ქალის თანასწორობა.

1975 წელი გაერომ ქალთა საერთაშორისო წლად, ხოლო 8 მარტი ოფიციალურად გამოაცხადა დღესასწაულად.

„მსოფლიოში შრომის ბაზარზე ვითარება იცვლება და ეს სიტუაცია მნიშვნელოვან კვალს ტოვებს ქალებისთვის. ერთი მხრივ, გლობალიზაციის პროცესი და ტექნოლოგიების სფეროში რევოლუციური ცვლილებები ახალ შესაძლებლობებს ქმნის, მეორე მხრივ კი ჩვენ ვაწყდებით ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა ქვეყნების ფინანსური და სავაჭრო

პოლიტიკის ცვლილება, არანორმირებული სამუშაო გრაფიკი, არასტაბილური გამოუმუშავება, ხვალხდელი დღის შიში. ყველა ეს საკითხი აუცილებელია ქალთა ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებისთვის და მისი კონტექსტში გავითვალისწინოთ“, – მიიჩნევენ გაერომ.

1965 წლიდან, საბჭოთა კავშირის უზენაესი პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ქალთა საერთაშორისო დღე უქმე დღედ გამოცხადდა.

საქართველოში დღესასწაული, სადაც ეს დღე სხვა საბჭოთა ქვეყნების მსგავსად აღინიშნებოდა, სსრკ-ის დაშლის შემდეგ გაუქმდა.

თუმცა 2002 წლის მარტში, ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, პარლამენტის გადაწყვეტილებით ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტმა დღესასწაულის სტატუსი კვლავ მოიპოვა.

ამ გადამწყვეტილების ინიციატორი ნინო ზურჯანაძე გახდა, რომელიც მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე იყო.

სხვადასხვა ქვეყნებში ამ დღის აღნიშვნის ტრადიცია განსხვავებულია – ზოგიერთ ქვეყნებში მას უფრო მასშტაბურად, ზოგან კი უფრო მოკრძალებულად აღნიშნავენ.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 8 მარტს პრაქტიკულად ყველა აღნიშნავენ, მათ შორის უკრაინაში, ბელარუსში, უზბეკეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში.

ეს არის დღე, როდესაც ყველა ქა-

# ქალთა საერთაშორისო დღე და მისი წარმოშობის ისტორია

რვა მარტს გილოცავთ მანდილოსნო!

ქალთა საერთაშორისო დღე – აღინიშნება ყოველი წლის 8 მარტს. ქალთა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მიღწევების აღნიშვნის გლობალური დღესასწაული; პირველად ეს დღე 1909 წლის 28 თებერვალს აშშ-ში, ამერიკის სოციალისტური პარტიის დეკლარაციის შემდეგ აღინიშნა.

ამ დღეს მომხდარ ისტორიულ მოვლენათა შორის ერთ-ერთი უმთავრესი, რომელმაც მოძრაობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით გახადა ცნობილი, იყო „ტრაიანგლ შირტუისტ“ (Triangle Shirtwaist) საფეიქრო ფაბრიკაში მომხდარი ხანძარი, რომელმაც 140-ზე მეტი ქალი იმსვერლა.

ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო დღის აღნიშვნის იდეა თავდაპირველად მე-20 საუკუნის დასაწყისში დაიბადა, სწრაფი მსოფლიო ინდუსტრიალიზაციისა და ეკონომიკური ექსპანსიის ეპოქაში, რომელმაც მასობრივი პროტესტები გამოიწვია მუშათა აუტანელი სამუშაო პირობების გამო. ერთ-ერთი პირველი ასეთ პროტესტთაგანი იყო ნიუ-იორკის სამკერვალო ფაბრიკების მუშა-ქალთა გაფიცვა 1857 წლის 8 მარტს. მათი პროტესტის მიზეზი ძალზე მწირი ხელფასი და გაუსაძლისი სამუშაო პირობები იყო. ქუჩაში გამოცხადებული ქალები პოლიციამ დააბრუნა. ორი წლის შემდეგ, იმავე თვეს, სწორედ ამ ქალებმა დააარსეს პირველი პროფკავშირი.

1917 წლის რუსეთის რევოლუციის გამოშვები პირველი ნაპერკალი ქალთა საერთაშორისო დღისადმი სოლიდარობის მიზნით გამოსული დემონსტრაციები გახდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ბოლშევიკი ფემინისტი ალექსანდრა კოლონტი იყოლიებს ლენინს, რათა ეს დღე ოფიციალური დღესასწაული გახდეს.

8 მარტი ოფიციალურ დღესასწაულად და უქმე დღედ დღემდე რჩება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც.

2005 წელს ბრიტანეთის პროფკავშირების გაერთიანების კონგრესზე ერთხმად დაუჭირეს მხარი რეზოლუციის ბრიტანეთში ქალთა საერთაშორისო დღის სახალხო დღესასწაულად გამოცხადების შესახებ.

ამჟამად, ქალთა უფლებების დაცვის მოძრაობები მსოფლიოს გარშემო, ყოველი წლის 8 მარტს მრავალ ღონისძიებას ატარებენ. ქალთა გლობალური ასოციაცია „ავგორას“ ვებ-გვერდზე შესაძლებელია ადგილობრივი ღონისძიებათა დარეგისტრირება, რაც ქალთა უფლებების დაცვის სფეროში ლოკალური მოვლენების გლობალურად გაშუქებას უწყობს ხელს. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთავრობა და ორგანიზაცია მხარს უჭერს ქალთა საერთაშორისო დღეს.

მასალა მომზადებულია ქართული ვიკიპედიის გამოყენებით: <http://ka.wikipedia.org/>



ლი ამაღლებულ განწყობაზე, როდესაც ქალს ყვავილებს და საჩუქრებს უძღვნიან. ყვავილებიდან კი 8 მარტს არჩევანს მიმოზებენ, ტიტებზე, ნარცისებზე, ვარდებსა და ენძელზე აჩერებენ. თუმცა, მათგან მხოლოდ მიმოზა იქცა დღესასწაულის არაოფიციალურ სიმბოლოდ.

ამ დღეს ქალებისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიებები ტარდება, მათ შორის, გამოფენები, კონცერტები, ფლემინგები და ა.შ.

როგორც წესი, 8 მარტს ზეიმობენ ოჯახურ გარემოში, მეგობრებთან და ახ-

ლობებთან ერთად. მამაკაცი ამ დღეს ულოცავენ დედას, მეუღლეს, დას, ქალიშვილს და შეძლებისდაგვარად ოჯახური საქმიანობისგან მათ გათავისუფლებას ცდილობენ.

დღესასწაული მდიდარია ტრადიციებით, თუმცა ყველაზე მთავარი – ქალი-სადმი გამოჩენილი განსაკუთრებული ყურადღებაა. გაუფრთხილდით ქალბატონებს, მიულოცეთ დღესასწაული, მიუძღვნეთ ყვავილები და საჩუქრები, გაანებივრეთ ისინი და არა მარტო 8 მარტს, არამედ ყველა დღეს.



# ყველაზე მეტად მსურს – აღარ იყოს გაჭირვება ძველანაში, არაჰინ დადიოდას ძველანაში მშობიარი და მიუსაფარი

ბატონი მომენია. მრავალთვიანი განსხვავებით, მას ყურადღება და მზრუნველობა არ აკლია ოჯახისგან. იშვიათად მინახავს 88 წლის ასაკში, მიუხედავად თავისი ტკივილიანი ცხოვრებისა, ასე ხალისიანად და შემართებით გამოიყოფოდეს ადამიანი. ჰქონდეს ბევრი ლამაზი ნატურა, ოცნება და მომავლის იმედი. ეს ქალბატონი მყავდა ფილაურია, რომელმაც საიმოვნებით გაიხსენა რამდენიმე ეპიზოდი საკუთარი ცხოვრებიდან.

– ქალბატონო მყავდა, გილოცავთ 8 მარტს, გისურვებთ სურვილების ახდენას, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. რას ნიშნავს თქვენთვის 8 მარტი, რა მოგონებები გაკავშირებულია?

– გმადლობთ მოლოცვისთვის. მინდა ასევე მივულოცო ყველა მანდილოსანს ეს დღე, ვუსურვო მათ ბედნიერება, სიკეთე და სიხარული. 8 მარტის დღესასწაული ახალგაზრდობის ლამაზ მოგონებებს მიღვიძებს. ყოველთვის აღვნიშნავდი თანამშრომლებს ერთად. სულ სხვანაირი ხალისი, განწყობა და მხიარულება იგრძნობდა. ადამიანებს, მაშინ უფრო მეტი სიყ-



## ხანდაზოგულები-საზოგადოების სიმდიდრე და ღირსება

სირთულეებით სავეც ცხოვრების გამო, ხშირ შემთხვევაში ჩვენს ქვეყანაში ხანდაზმულები გარკვეულ იზოლაციას განიცდიან. ზოგიერთი მათგანი მარტოხელაა, ზოგიერთი მიტოვებულია, ზოგი, მართალია, ოჯახთან ერთად ცხოვრობს, თუმცა მანც მარტოხელაა, რადგან „ტივრის“ წარმოადგენს ოჯახისათვის. მოხუცები, თითქოს, გამოცდილები და ზრდასრულები არიან, თუმცა მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება და ჩვენს მხარდაჭერა. მოუფრთხილდეთ ჩვენს ხანდაზმულებს, მოვეფეროთ მათ და მაგალითი მივცეთ მომავალ თაობებს, რათა ჩვენ თუ არა, მათ მანც შეძლონ ხანდაზმულთა მდგომარეობის გაუმჯობესება. სხვა თუ არაფერი მხოლოდ თბილი სიტყვებითაც შეგვიძლია გავუხაროთ გული. ისინი ხომ დიდი ბავშვები არიან.

სწორედ ამიტომ, სარგებარყო ინტერვიუსთვის გადავწყვიტე ძალიან სათნო და კეთილშობილი ქალ-

ვარული, ურთიერთგაგება და პატივისცემა გვექონდა ერთმანეთის მიმართ. ამას ვერ ვიტყვი ახლადღეს ურთიერთობებზე. თითქოს შურმა, მტრობამ და ბოროტებამ წაღწა ცხოვრება. ძალიან გულდასაწყვეტია, რომ გაცივდა ურთიერთობები. ბევრი ადამიანური ღირებულება უკანა პლანზე გადავიდა.

– როგორ გაიხსენებთ თქვენი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებს?

– ჩემი ცხოვრება მრავალ ლამაზ მოგონებასთან ერთად ბევრ ტრგიკულ მოვლენას იტევს, იქიდან გამომდინარე, რომ ჩემი ბავშვობა დაემთხვა მეორე მსოფლიო ომს. იყო დიდი გაჭირვება და მძიმე ცხოვრება. თუმცა, ეს საერთო გაჭირვება იყო. მყავდა ბევრი მეგობარი, ყველა ერთად ვიტანდით ამ ყოფას. მიუხედავად ამის სკოლაში საუკეთესო მოსწავლე ვიყავი. ...და მანც ვთვლი, რომ ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები იყო.

შემდეგ ოჯახი შევქმენი. ჩემი მეუღლე ომის ვე-

ტრანი იყო. მაშინ შევეუღლეთ, როდესაც ომიდან დაბრუნდა და შეგვექმნა ორი ვაჟი.

არა მგონია რომელიმე ოჯახი სირთულეების გარეშე არსებობდეს. ასევე ჩვენიც, მაგრამ ყველაფერს ვავადრებდით ერთმანეთის დახმარებით, სიყვარულით და პატივისცემით. სამშუხაროდ, დიდხანს არ დაგვეცალდა ბედნიერად ცხოვრება, მეუღლე მომიკლეს და 32 წლის ასაკში დავექვრივი. მარტოხელა ქალისთვის ძალიან რთული იყო ოჯახის რჩენა და ორი ობოლის გაზრდა, მაგრამ ღვთის წყალობით ესეც შევძელი. ბედნიერი ვარ, რომ მყავს შვილები, შვილიშვილები, შვილითაშვილები, რომლებიც სიცოცხლეს ყოველწელს მილამაზებენ, ზრუნავენ ჩემს ჯანმრთელობაზე და წარსულის იარებასაც მიშუშებენ. ოთხ თაობას მოვეწვარი და ამით ძალიან ვამაყობ. ვთვლი, რომ მათი დამსახურებაა ამდენ ხანს რომ ვიცოცხლობ.

რაც შეეხება ჩემს საზოგადოებრივ საქმიანობას, ვმუშაობდი ყვარლის სკოლა-ინტერნატში უფროს

მზარეულად. 50 წელი ვმსახურობდი მზრუნველობაში მოკლებულ ბავშვებს, დღესაც სიხარულით ვიხსენებ, როგორ მაფასებდნენ და ვუყვარდი თითოეულ მათგანს. გული მწყდება, რომ ვეღარ ვხედავ მათ, ვერ ვნახულობ ყოფილ თანამშრომლებს და მეგობრებს.

ყველაზე მეტად მსურს – აღარ იყოს გაჭირვება ქვეყანაში, არავინ დადიოდეს მშობიარი და მიუსაფარი. მშვიდობა იყოს და გამთლიანდეს ქვეყანა, აღიზარდონ ღირსეული თაობები. ასევე, მინდა კიდევ ვიცოცხლო, რომ ვუყურო ჩემს შვილებს, შვილიშვილებს და მათ შვილებს.

– ამ ინტერვიუთი მე მინდოდა გამორჩეულად მიმელოცა ხანდაზმული ქალბატონებისთვის 8 მარტი. ვუსურვებ მათ ჩემი რესპოდენტის მსგავსად ბედნიერ სიბერეს და ოჯახურ ცხოვრებას!

ია გიგინაშვილი



## აღნიშნული დაავადებები ტოვებენ მყარ იმუნიტეტს

უკანასკნელ პერიოდში, საქართველოში არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა ნითელას ვირუსის გავრცელების. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ყვარლის მუნიციპალიტეტში, ნითელა, ნითურა ჩუტყვავილა – რამდენად საშიშია ეს ვირუსები, როგორ ხდება მისი გავრცელება, როგორ უნდა შევამჩნიოთ ეს დაავადებები, პროფილაქტიკისათვის რა შეიძლება გაკეთდეს, რა განსხვავებაა ნითელასა და ნითურას შორის და რომელი უფრო რთული ინფექციაა, მკურნალობის რა გზები არსებობს, არის თუ არა ვაქცინაცია აუცილებელი? ამასთან დაკავშირებით გვესაუბრება ყვარლის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ექიმი – ეპიდემიოლოგი: ქალბატონი მანანა სეფაშვილი.

ჩუტყვავილა გადადებია დაავადების პირველი დღიდან უკანასკნელი ქერქის ჩამოცლამდე. ვრცელდება ჰაერ ნებით ვანი გზით. ჩუტყვავილას ბუშტუკი ერთ კამერია და თვით გამოიყვანის ელემენტი კანის ზედა ფენაშია. ინკუბაციური პერიოდი 13 – 15 დღეა. იშვიათად შეიძლება გაგრძელდეს 22 დღემდე. დაავადება იწყება ტემპერატურის მომატებით 37.0-38.0 – მდე, ზოგადი შეუძლებლობით, მადის დაქვეითებით. გამონაყარი პაპულებისა და კვანძების სახითაა, რომლებიც ერთი დღის მანძილზე გარდაიქმნებიან. კერძოდ შეიძლება წარმოიქმნას ბუშტუკები, პუსტულები დაიქერქოს კიდევ. დამახასიათებელია ჩუტყვავილას ელემენტის ფართო ნითელ ფუძეზე ჯდომა, გამონაყარი ატარებს ტოლისებურ ხასიათს და გრძელდება 2-3 დღე. ქერქის მოცილის შემდეგ რჩება ნაზი ნაწიბური, რომელიც შეივსება და ქრება ერთი კვირის განმავლობაში. ჩუტყვავილით ავადობის დროს საჭიროა ჯანმრთელი ბავშვების მორიდება ავადმყოფისგან. ჩუტყვავილას ნინაალმდე შემუშავებულია ცოცხალი ვაქცინა, მაგრამ სავალდებულო აცრათა ნუსხაში არ შედის.

ნითელა ძირითადად ბავშვთა ასაკის მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელსაც პერიოდულად ეპიდემიური გავრცელება ახასიათებს. თუმცა ამ ბოლო წლებში ნითელას შემთხვევები გვხვდება მოზრდილი ასაკის ყველა იმ პიროვნებაში ვისაც თავის დროზე არ ჰქონდა ჩატარებული ან არასრულად იყო ნითელა ნითურას საწინააღმდეგო ვაქცინით აცრილი. გადადების გზები ჰაერით ვრცელდება. ავადმყოფთან კონტაქტისას ან

ავადმყოფის ბინაში ყოფნისას მოუხდელ ან აუცრელ პირებს აუცილებლად ემართებათ ნითელა. იმის გამო, რომ ნითელას ვირუსის გამძლეობა გარემოში დაბალია, საკმარისია ავადმყოფის გაყვანა ბინიდან და ბინის კარგად გაწმენდა, რომ შემდეგ ბინა უვნებლად ჩაითვალოს.

ნითელას ახასიათებს სეზონური და პერიოდული ეპიდემიური ტალღები. წლის ცივ თვეებში უფრო ხშირია დაავადების შემთხვევები, ვიდრე ზაფხულ – შემოდგომის პერიოდში. ნითელას გამომწვევი ორგანიზმში შეიჭრება ლორწოვანი გზით, სახელობრ ცხვირ – ხახის, სასუნთქი გზების, საყლაპავი მილის და თვალის კონიუქტივიდან. ვირუსი გამოიჩნევა მაღალი გადადებლობით, ლორწოვანიდან ვირუსი ხვდება სისხლში და ვითარდება ვირუსემია. ინვეს ზემოთ აღნიშნული ორგანოების დაზიანებას, რაც გამოიხატება – სურდოსა და სტომატიტში, ლარინგიტში, ბრონხიტში, ბრონქოპნევმონიებში.

ნითელას ინკუბაციური პერიოდი 10-11 დღე, შეიძლება გაგრძელდეს 22-26 დღემდე. ავადმყოფობა იწყება ტემპერატურის აწევით 38°-მდე, ცხვირიდან გაძლიერებული ლორწოს გამოყოფაში, მკვეთრ კონიუქტივიტში, ცრემლის დენასა და სინათლისადმი მიმში, პირის ღრუს ლორწოვანი მთლიანად განითვლება. ყველაზე მეტი დიაგნოსტიკური ღირებულების ნიშანია ტუჩებისა და ლოყების ლორწოვანზე მოთეთრო ყვითელი ფერის ნიწკლები ე.წ. კოპოკ-ფილატოვის ლაქების წარმოშობა. ავადმყოფი ნუსხ, გამონაყარი იწყება სახისა და კისრის მიდამოებიდან, ვრცელდება მთელ ტანსა და კიდურებზე. იგი ლაქოვანი ხასიათისაა, სხვადასხვა სიდიდის და ფორმის. სამი დღის განმავლობაში გამონაყარი მატულობს და მეხუთე დღეს ფერმკრთალდება. ამ დროს სიცხე კლებულობს და მწვავე პერიოდი აქ თავდება. დაავადებიდან მეცხრე დღეზე ავადმყოფი გადადები აღარ არის. ნითელას ახასიათებს მთელი რიგი გართულებები – ბრონქოპნევმონიები, შუა ყურის კატარული ან ჩირქოვანი ანთება, საჭმლის მომწელებელი სისტემის მხრივ დაზიანება, ჩირქოვანი და განგრენოზული სტომატიტი.

რაც შეეხება ნითურას, იგი ვირუსული ბუნების მწვავე ინფექციური დაავადებაა ნითელას მაგვარი გამონაყარით. იგი ჩვეულებრივ მსუბუქად მიმდინარეობს კეთილი გამოვლით. ავადმყოფს ეწყება გამონაყარი მეორე მესამე დღეზე და ტალღისებურად ვრცელდება მთელ ტანზე. ნითურასთვის დამახასიათებელია გამონაყარი ზედა და ქვედა კიდურებზე. მე2-3 დღის შემდეგ გამონაყარი ქრება

– ეჭვი, რომ ვითომ უფასო ვაქცინები დაბალი ხარისხისაა საფუძველს მოკლებულია. ვაქცინები შემოგვაქვს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან, ინახება სათანადო ტემპერატურული რეჟიმის ქვეშ, აცრა ხდება რაიონში არსებულ ყველა ამცრელ კაბინეტში.

– რისკ ვაჭურები თუ არსებობს?

– ინფექციების რისკ – ვაჭურებში შედიან ბავშვები, რომლებიც აცრილი არიან არასრულად ან არიან აუცრელები, ფეხშიძე ქალები, სამედიცინო პერსონალი, ნითელას საავადმყოფო შემთხვევის გამოვლენისას კონტაქტში მყოფი პირები. ამჟამად, ეპიდემიოლოგიისა და კავშირებითი საჭიროა გადამოწმდეს ბავშვთა ორგანიზებულ დანესებულებებში ( ბავა – ბალი, სკოლა) ყველა ბავშვის აცრის სტატუსი და ყველა ვინც არ არის ვაქცინაზე ორჯერად აღად აცრილი აიცრას ვაქცინის ერთი დოზით.

– ვისაც გადატანილი აქვთ იმ შემთხვევაში თუ არსებობს ალბათობა, რომ კიდევ შეხვდებით?

– აღნიშნული ინფექციური დაავადებები ტოვებენ მყარ იმუნიტეტს, რაც იმის გარანტიაა, რომ ყველა ის პირი ვინც გადაიტანა ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებები განმეორებით აღარ შეხვდება.

ესაუბრა ია გიგინაშვილი





საზოგადოების მალალი ინტერესიდან გამომდინარე, წარმოგვიდგინოთ ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელსაც სახელმწიფო 2018 წელს აზოური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განახორციელებს;

ფაროსანასთან ბრძოლის სტრატეგიით გათვალისწინებული ყველა ტექნიკური საშუალების მობილიზება შემცირდრეველ ვადებში მოხდება, რათა არსებული გამოწვევიდან გამომდინარე – საჭირო მცენარეთა დაცვის საშუალებები და სპეციალური ტექნიკის დროული უზრუნველყოფა მოვახდინოთ.

აზოურ ფაროსანასთან ბრძოლის 2018 წლის სტრატეგიის პროექტი შემუშავებულია, რომელიც 2017 წელს ფაროსანას წინააღმდეგ განხორციელებული მასშტაბური ღონისძიებებით მიღებულ გამოცდილებასა და საერთაშორისო და ქართველი ექსპერტების რეკომენდაციებს ეყრდნობა. იგი მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: აქტიურ საინფორმაციო კამპანიას, სრულმასშტაბიან მონიტორინგს და მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებს (წამლობა).

მასშტაბური საინფორმაციო კამპანიის გატარების შედეგად, ჩვენ შევძლებით მთელი ქვეყნის მოსახლეობისთვის მიგვეწოდებინა ამომწურავი ინფორმაცია აღნიშნული მავნებლის ბიოლოგიასა და მასთან ბრძოლის მეთოდების შესახებ. მოსახლეობას სრულად აქვს გაეცნობიერებული, რომ მათი ჩართულობის გარეშე, მხოლოდ სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებებით შედეგს ვერ მივიღებთ.

აზოურ ფაროსანასთან ბრძოლის 2018 წლის სტრატეგიის პროექტი, 2017 წლის დეკემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ფინანსთა სამინისტროს მიერ აზოური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განახორციელებლად დამატებით გამოიყო 35 მლნ ლარი, რომელიც შესაბამისი პრეპარატებისა და შესაბამისი ტექნიკის შეძენას უნდა მოხმარდეს.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის თანახმად, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა ზემოაღნიშნული კანონით დადგინული შესაბამისი

# რა ღონისძიებები გატარდება 2018 წელს აზოური ფაროსანას წინააღმდეგ

პროცედურები და გამარტივებული შესყიდვის პირობებში, სამი მომწოდებლისგან (ალსანიშნავია, რომ პროცესში ჩაერთო პრეპარატის მომწოდებელი ფაქტორივად ყველა კომპანია) შეიძინა აზოური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭირო ქიმიური პრეპარატები, რომლისთვისაც 15 მლნ ლარი გამოიყო.

გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ბიუჯეტის ფარგლებში, 2018 წელს გაძლიერდება აზოური ფაროსანას მონიტორინგი მთელი ქვეყნის მასშტაბით. სახელმწიფო შეიძენს 100 ათასზე მეტ ფერომონს, რომლებიც განთავსდება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე.

აზოური ფაროსანას საწინააღმდეგოდ, სახელმწიფოს მიერ დაგეგმილია მილიონ შეტყობამდე ფართობის შენამუშაობა. ამ მიზნით, გათვალისწინებულია 360 ტონა პრეპარატის გამოყენება.

გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში, ასევე დაგეგმილია 120 ერთეული სპეციალური მალალი გამავლობის (70 მალალი გამავლობის ავტომობილი თერმული ნისლი აგრეგატით, 50 მცირემოტორული შენამუშაურებელი ტექნიკა) ტექნიკის შეძენა, რისთვისაც სახელმწიფო 20 მლნ ლარს დახარჯავს.

გარდა ამისა, საერთაშორისო დახმარების ფორმატში, შპს მიერ, გათვალისწინებულია 17 ერთეული სატრაქტორე აგრეგატის შესყიდვა, ევროკავშირის მიერ 17 შესაბამისი აპარატის შეძენა, 37 მალალი გამავლობის მანქანის შეძენა ჩინეთის მხრიდან ტექნიკური დახმარების ფარგლებში.

სოფლის მეურნეობა მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც ხშირად დდება სხვადასხვა გამოწვევის წინაშე. გლობალური კლიმატური ცვლილებების ფონზე ჩნდება ახალი მავნებლები. მაგ.

ხორციელდება სახელმწიფო პროგრამა ამერიკული თეთრი პეპელას და იტალიური კალიის წინააღმდეგ. წლების განმავლობაში გატარებული ღონისძიებების შედეგად დღეს მათი პოპულაცია რეგულირებადი და ეკონომიკური ზარალი მინიმუმამდე შემცირებული.

აზოური ფაროსანასთვის საქართველო ახალი გარემოა და მისი პოპულაცია ბიოლოგიურად არ კონტროლდება, ანუ მას არ ჰყავს ბუნებრივი მტერი და, სწორედ ამიტომ, გამრავლების შესაჩერებლად, საჭიროა ქიმიური და მექანიკური გზებით ბრძოლა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აზოურ ფაროსანასთან ბრძოლის სტრატეგია ითვალისწინებს საქართველოში ბიოლოგიური ლაბორატორიის შექმნას, სადაც მავნებლის ბუნებრივი მტრებისა და პარაზიტების შესწავლა-დაკვირვება მოხდება.

2018 წელს, იმუშავებს უწყებათა-შორისი საკოორდინაციო სამუშაო შტაბი, სადაც ჩართული იქნებიან სხვადასხვა სამინისტროს და უწყების წარმომადგენლები.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ აზოური ფაროსანას სასოფლო-სამეურნეო, ტყის და დეკორატიული კულტურების საშემამავნებელს წარმოადგენს და რომლის წინააღმდეგ ბრძოლას, სამსუხაროდ, დასჭირდება არაერთი წელი და ადამიანური და ტექნიკური რესურსის სრული მობილიზება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2016-2017 წლებში, საქართველოში აზოური ფაროსანასთან ბრძოლის მეთოდებისა და ღონისძიებების შემუშავების პროცესში, სამინისტრომ ითანამშრომლა შემდეგ ორგანიზაციებთან და კვალიფიციურ სპეციალისტებთან:

- ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის-პირეთის ქვეყნების მცენარეთა დაცვის მთავრობათაშორისი ორგანიზაციის (EPPO) გენერალური დირექტორი მარტინ ვორდი;
  - მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის (IPPC) გენერალური მდივანი ჯინიფერ შიპა;
  - პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი გრეგორი კაუჩუკი.
  - მავნებელთან ბრძოლის გამოცდილების გაზიარების მიზნით, კომპანია „აგრი-ჯორჯიას“ ორგანიზებით საქართველოში გაიმართა წარმომადგენლობითი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული წამყვანი სპეციალისტები, მათ შორის:
  - კაკოლვანი კულტურების საბჭოს კვლევითი და სახელმწიფო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე ჯუზეპე კალკანი;
  - ბიოლოგიური კონტროლის ლაბორატორიის ხელმძღვანელი შვეიცარიაში ტიმ შვი;
  - ენტომოლოგი (კანადა) ტარა გარეიპი.
- აზოურ ფაროსანასთან ბრძოლის მეთოდების შემუშავების პროცესში, სამინისტრო მზად არის მომავალშიც ითანამშრომლოს ყველა კომპეტენტურ მხარესთან, მათ შორის, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მეცნიერებთან.
- სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრში შექმნილია სამუშაო-საკონსულტაციო ჯგუფი და უწყება მზად არის, წარმოადგინოს შემთხვევაში განიხილოს ახალი წინადადებები მავნებელთან ბრძოლის მეთოდების შესახებ.
- ინფორმაცია მოგვანოდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

agrokavkaz.ge

# ქართველმა მეცნიერებმა ფაროსანას საწინააღმდეგო პრეპარატი შექმნეს



საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აზოური ფაროსანას საწინააღმდეგო პრეპარატი შექმნეს. მისი ავტორი მეცნიერთა ჯგუფია, რომელიც მსგავს პრობლემებზე წლების განმავლობაში მუშაობს.

როგორც ამბობენ, ეს არის ახალი თაობის მეტად ეფექტური ნაშალი, რომლის შექმნაზეც დიდი შრომა და ენერგია დაიხარჯა. მონდომებამ და თერთად გათენებულმა ღამეებმა ნაყოფი გამოიღო და შეიქმნა პრეპარატი, რომელსაც „სხნარი 6“ უწოდეს. გვესაუბრება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი არჩილ ჭირაქაძე.

არჩილ ჭირაქაძე: – პრეპარატის შექმნაზე 10-კაციანი ჯგუფი მუშაობდა. მსგავსი კვლევები საქართველოში დიდი ხანია მიმდინარეობს, თუმცა ფაროსანას საკითხით პრობლემის განმეგვებისთანავე დაიგნტურესდით. ინიციატივა ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, არჩილ ფრანგიშვილისგან მოიდა. ჩვენს უნივერსიტეტში საამისო ბაზა წამდვილად არსებობს: აქ დიდი ხანია მუშაობენ კარგი სპეციალისტები სოფლის მეურნეობისა და ეკოლოგიის პრობლემებზე, მოქმედებს 3 ლაბორატორია...

ფაროსანა სწრაფად მრავლდება და შეგუების დიდი უნარი აქვს, საქართველოში მის გასანადგურებლად ბუნებრივი ფაქტორები თითქმის არ არსებობს.

– ვინ არიან „სხნარი 6“-ის შემქმნელები და იდის ავტორები?

– ეს რამდენიმე მეცნიერის იდეაა, მათ თავიანთი ვინაობის აფიშირება არ სურთ, თანაც ამ ნაშლის შექმნაში იმდენი ადამიანის შრომა ჩადებული, რომ სწორი არ იქნება რამდენიმე მათგანისთვის მინერა.

– რით გამოირჩევა სხვა პრეპარატებისგან?

– დღეს მსოფლიოში იყენებენ ზომიერი ტოქსიკურობის პრეპარატებს, ოღონდ სიტყვა „ზომიერი“ არ უნდა მოგვაცტყოს:

მოსახლეობას დაურიგეს ბიფენტრინის შემცველი ქიმიური პრეპარატები, რომლებსაც აწერია „ზომიერად ტოქსიკური“, მაგრამ ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმისთვის საშიშია. ხალხს არა აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, რომ ეს პრეპარატები სწორად გამოიყენონ. მათგან განსხვავებით, „სხნარი 6“ მაქსიმალურად უსაფრთხო და მარტივი გამოსაყენებელია.

ამჟამად გარემოს დაცვის სააგენტო და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ბიფენტრინის შემცველ პრეპარატებს ახასიათებენ როგორც „ზომიერად ტოქსიკურს“, მაგრამ ეს ტოქსიკურობის საკმაოდ მაღალი დონეა. დაკვირვების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ პრეპარატებს ძალიან მძიმე შედეგი მოაქვს ისეთი სიცოცხლისუნარიანი არსებობისთვის, როგორც ვირთაგა – უზიანებს რეპროდუქციულ და ენდოკრინულ სისტემას. პრეპარატები, რომლებსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო არიგებს, მეტად უარყოფითად მოქმედებს ფლორაზე, ფაუნასა და მთელ ჩვენს ეკოსისტემაზე. ბიფენტრინის შემცველ ბევრ პრეპარატს აწერია, რომ ჩაყლაპვის შემთხვევაში შეიძლება სიკვდილი გამოიწვიოს, ამიტომ ოჯახში, სადაც ბავშვები არიან, მისი შენახვა მიზანშეწონილი არ არის.

ამერიკაში ამ პრეპარატებს სერტიფიცირებული სპეციალისტის თანხლებით იყენებენ. ადრე გამოიყენეს თურქული წარმოების „ზონდერი“, ახლა სხვა პრეპარატები უნდა გამოიყენონ. პრეპარატები როგორ არ არსებობს, მაგრამ თუ იმ დონით გამოიყენებ, რომ არ გაუფრთხილდები ადამიანს, ფუტკარს, რომელიც დამტყვრო-

ვის პროცესში უდიდეს როლს ასრულებს და მცენარეული სამყაროსთვის შეუცვლელი არსებაა, არ გაუფრთხილდ სხვა სასარგებლო მცენარეებსა და ცხოველებს, ასეთი პრეპარატი ფაროსანასაც მოკლავს და ყველაფერს ზედ მიაყოლებს, რაც კი ბუნებაში არსებობს. შეიძლება ამ პრეპარატებმა ფუტკარი და სხვა ცოცხალი არსებები არ დაზოცოს, მაგრამ მონაშლის და ისე დააზიანოს, რომ გამრავლების უნარიც კი დააკარგვოს.

– რისგან არის თქვენი პრეპარატი დამზადებული?

– ჯერ გეტყვით, „სხნარი 6“ რატომ დაგარქვით: სულ 12 პრეპარატის გამოცდა მიმდინარეობდა, მაგრამ მათ შორის



ყველაზე კარგი ეფექტი მეექვსეს ჰქონდა. როცა დაბატნებდა, წამდვილ სახელსაც დაგარქვით. სხნარი მხოლოდ ბუნებრივი, მცენარეული ექსტრაქტებისგან არის დამზადებული. მოგახსენებთ, ფაროსანა თითქმის ყველაფერს ჭმის, მაგრამ ზოგიერთ მცენარეს არ ეკარება. სწორედ ამ მცენარეებზე დაყრდნობით შეიქმნა „სხნარი 6“, რომელშიც ქიმიური ნაერთები არ შედის. მოსახლეთ მას ფაროსანას გავრცელების ადგილას და მწერი განადგურდება, თანაც პრეპარატი მინიმალურ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე. რა თქმა უნდა, მსოფლიოში სხვა ბიოლოგიური პრეპარატებიც არსებობს, მაგალითად, „პოვერია ბასიანა“, რომელიც ზრდასრულ ფაროსანას ვერ კლავს, მაგრამ ახალგაზრდას 100%-იანი შედეგით ანადგურებს. თუ ჩვენ იმ ხანძარსა და საშიშროებას ჩავაგრობთ, რომელიც გვემუქრება, მერე უკვე ამ პრეპარატის გამოყენებაზე შეიძლება. უბრალოდ, არ გვსურს ბიფენტრინის შემცველი პრეპარატი იმდენი გამოიყენონ, რომ აშან ეკოლოგიასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე კატასტროფულად იმოქმედოს. ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არ არის იმდენი სპეციალისტი, რომ ადამიანისთვის ათჯერ უფრო უსაფრთხოა, ხოლო ადამიანისთვის – პრაქტიკულად უსაფრთხო.

– „პოვერია ბასიანასთან“ შედარებით რამდენად ეფექტურია ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილი პრეპარატი?

– მთავარია, მომწამლეული არ არის და „სხნარი 6“ თითქმის ისეთივე ეფექტის მოტანია, როგორც ქიმიური პრეპარატები. დეფიციტით, ქიმიური საშუალების გამოყენებისას ფაროსანას სიკვდილიანობა 97%-ია, ამ პრეპარატის გამოყენებისას შეიძლება იყოს 94-95%. ის ფუტკარისთვის ათჯერ უფრო უსაფრთხოა, ხოლო ადამიანისთვის – პრაქტიკულად უსაფრთხო.

გაზეთი „კვირის პალიტრა“



გაზეთ „ყვარლის“ სარედაქციო მუშაობის რესპონდენტი კარგად შემორჩენილი ქართული ვაჟკაცია, რომელსაც წილად ხედავს მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ყვარლის რაიონთან დაეკავშირებინა და რაიონის აღმშენებლობისათვის, მოსახლეობის უკეთესი მომავლისათვის უშრომდა და ეღვაწა. ამ დღეებში მას 70 წელი შეუსრულდა და ინტერვიუს ჩასანერად ბატონ რამაზ მონიტიბაშვილს ვესტუმრე.

– ბატონო რამაზ, უკვე 7 ათეულს გადაბრუნდა, ამ ხნის მანძილზე რისაკეთებდა ვერ მოასწარი და მომავალზე რას ფიქრობ?

– ბატონო ალექსანდრე, დიდი მადლობა მინდა მოგიხადო იმის გამო, რომ მომეცით საშუალება 70 წლის გადასახედვად მივესალმო ჩემს ახლობლებს და თანამოქალაქეებს, გაეუზიარო მათ ჩემი მოსაზრება განვლილი ცხოვრების ავ-კარგიანობაზე. თუ დავიფიქრებ, რომ ადამიანი 100 და მეტ წელს ცოცხლობს, 70 წელი არც ისე დიდი ასაკია, მაგრამ არც იმდენი, რომ თავი ყმანვილა იგრძნოს. ცნობილია, ამომავალი მზის ქვეყანაში სახელმწიფოს მეთაურად მხოლოდ ამ ასაკის მიღწევის შემდეგ ირჩევენ. ასე, რომ ჩემი ასაკის ხალხს დაკარგული არაფერი გვაქვს და გულის გატყევა ნაადრევია. ადამიანი პირველ ნაბიჯებს ერთი წლის ასაკში დგამს, მიღის მისთვის გაუკვალავ სამყაროში, არ იცის სწორია თუ არა მის მიერ არჩეული გზა. თამამად უნდა ვიაროთ ნინ და მივიწოდო ბედს, შემდგომში კი დაგროვილ გამოცდილებას. განვლილი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ყოველთვის მინდოდა მეკეთებინა სიკეთე, მეცხოვრა ჩვენი წინაპრების ზნეობრივი კატეგორიებით. იყო სამარხში დასაფლავებული, ამჟამად რომ მომეცეს საშუალება, არც ერთ შემთხვევაში არ გავიფიქრებდი.

ადამიანები ბუნებით მეოცნებები ვართ, ვისახებთ მიზნებს და ვეძებთ გზას მისი განხორციელებისთვის, მაგრამ რეალური ცხოვრება არ გაძლევს იმის საშუალებას იცხოვრო ისე, როგორც გაცქვს ჩაფიქრებული.

– რამდენი წელი მოგიწიათ კულტურის სამსახურის ხელმძღვანელად მუშაობა და ყვარლის საკეთილდღეო რააკეთებდა იმ პერიოდისათვის?

# ქალბატონებო, გისურვებთ ჯანმრთელობას, გადნიერებას და უღვივ სისარულს!

კიდევ, გოგი გუბელაძე, ალექსანდრე ჩიხიაშვილი, სოსო ფუტყარაძე, ტარიელ რაჯვანაშვილი, თენგიზ ნყალობაშვილი და სხვები. გავიხსენებ ან განსვენებულ ხარება გუბელაძეს, „ქიკო“ ანზორ ქარენაშვილს, გურამ ლომიძეს.

– თეატრზე რას გეგვტყობოდა, იდეამბოროდა თუ არა სპექტაკლები თქვენს პერიოდში?

– რომ ვთქვა რაიონში თეატრალური ცხოვრება დულდა და გადმოდიოდა მეთუი, არ ვიქნები მართალი. ყვარელს 1950-60-იან წლებში ყავდა საკმაოდ ძლიერი თეატრალური დასი, მაგრამ წლების განმავლობაში მსახიობები გარდაიცვალნენ, დასი დაკნინდა და თეატრმა დაკარგა სახალხო თეატრის ნოდება.

70-იან წლებში თეატრის სათავეში ჩაუდგა რეჟისორი, ან განსვენებული ანზორ შერგელაშვილი, მაგრამ სუსტი დასის გამო თეატრს ხელშეწყობები მიღწეები აღარ ქონია. სპექტაკლები იდეამბოროდა მაგრამ მაყურებლის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა.

მათავარი მიზეზი იმისა, რომ სპექტაკლები აღარ იდეამბოროდა მატერიალურ ტექნიკური ბაზის უქონლობა იყო. კარგად მოგეხსენებათ მრავალი წლის განმავლობაში თეატრის შენობა კაპიტალური რემონტის გამო არ ფუნქციონირებდა.

– შარშან, დიდი ხნის შესვენების შემდგომ თეატრის მოყვარულებმა იხილეს პირველი სპექტაკლი, რომელსაც უდიდესი მონონება ხვდა წილად, თქვენი აზრით კ.მარჯანიშვილის მშობლიურ ქალაქში უნდა იყოს თუ არა თეატრალური დასი?

– ჩემდა სამწუხაროდ ამ სპექტაკლს არ დაეხსენებოდნენ, მაგრამ ყვარლის საზოგადოების გარკვეულ წრეებში მოვისმინე დადებითი შეფასება, რამაც ძალიან გამახარა.

გულსატკენია, რომ კ. მარჯანიშვილის მშობლიურ ყვარელში დღემდე არ არსებობს პროფესიული თეატრალური დასი. იმდენ ვიტყვებ ეს პრობლემა დადებითად გადაწყდება და რაიონის მოსახლეობას ექნება საშუალება იხილოს მრავალი სპექტაკლი.

– თქვენი მოღვაწეობის პერიოდში აშენდა იჭაჭაჭაძის სახელმწიფო მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზი და მემორიალურ მდგომარეობაში აღსდგა მუზეუმის ძველი შენობები, გავსხვობს, რომ ბევრი ადამიანი ეწინააღმდეგებოდა ამ აზრს, როგორ მიანდობ, რომ თქვენი პროექტი დადებითად გადაწყვეტილიყო?

– მიმანია, რომ ყვარლის ი. ჭაჭაჭაძის მუზეუმი ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს ქვეყანაში. მართალია ის ფაქტიც, რომ მეტად ცხარე კამათი მიმდინარეობდა საზოგადოების გარკვეულ ნაწილსა და ხელმძღვანელობას შორის. სადაო იყო

დადგენილიყო თუ არა ძველი თეატრის შენობა და საექსპოზიციო ნაგებობა და მათ ხარჯზე ალდგენილიყო მემორიალური ნაწილი თუ არა.

რესპუბლიკის მასშტაბით ამ საკითხზე იმართებოდა მრავალი დისკუსია. დაპირისპირების და განხილვების შემდეგ გაიმარჯვა საღმა აზრმა, ალდა მემორიალობა, ხოლო საგამოფენო დარბაზი თანამედროვე არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშია. ყოველივე ამასი დადამწყვეტი როლი ითამაშა მუზეუმის მამინდელი დირექტორის, ბატონ ილია ბეროშვილის ავტორიტეტმა. განვლილმა წლებმა დადასტურეს მიღებული გადაწყვეტილების სისწორე და აუცილებლობა.

– თქვენი ვაჟიშვილი რუსეთში მოღვაწეობს, ქალიშვილი გერმანიაში გათხოვდა, როგორ უმკლავდებით ნოსტალგიას, შენს გვერდზე რომ ვერ ხედავ ყოველდღიურად?

– ჩემს ახალგაზრდობაში 8 მარტის

სტუდენტია, სულ პატარა ხუთი წლის. იქიდან გამომდინარე, რომ თითქმის ყველა მოსწავლეა, ზაფხულის არდადეგებზე ახტრებენ ჩამოსვლას. მთელი წელი მოუთმენლად ველოდები ამ დროს.

– მეგობრები თუ ხართ კმაყოფილი?

– ყველაზე სასიამოვნო კითხვა მეგობრობას და მეგობრებს შეეხება. გარკვეული მიზეზების გამო ძალიან ცოტა მყავს სკოლის მეგობრები. ჩემი სამეგობრო წრე მოგვიანებით შედგა. მიმანია, რომ გვერდით მყავს საუკეთესო ადამიანები, რომელთა გარეშე ერთი დღეც არ შემოიღია. ყველას დიდ პატივს ვცემ. თუ რას ნარწოვადგენ მე ჩემი მეგობრებისთვის, მათი შესავსებელია. ალბათ როგორც მე ვარ, ისეთივე მეგობრები მყავს.

– როგორ ანიშნავდნენ სარგამარტო დღესასწაულებს თქვენს ახალგაზრდობაში?

– ჩემს ახალგაზრდობაში 8 მარტის



– ჩემი შეილები საზღვარგარეთ ცხოვრობენ, ვაჟი რუსეთში, ქალიშვილი გერმანიაში. როდესაც გადაწყვეტილებას იღებდნენ, ორივე ზრდასრული ადამიანი იყო. მათ შეგნებული და გააზრებული ნაბიჯი გადადგეს თავის ცხოვრებაში. მე პატივს ვცემ მათ არჩევანს. სიმართლეს გეტყვით. ძნელია შეილები ახლოს რომ არ გყავს, მაგრამ იმასაც შეეგუე, რომ წელთანადი ერთხელ, უკეთეს შემთხვევაში ორჯერ ვნახულობ. ბედნიერი ვარ, რომ მყავს კარგი, მოსიყვარულე და ძალიან ყურადღებიანი შვილები, სადაც ცხოვრობენ, არიან იმ ქვეყნის კანონმორჩილი და წესიერი მოქალაქეები, მჯერა არასოდეს არ შეარცხვენენ საქართველოს სახელს.

– შეილები თუ განებიერებენ და ხშირად თუ ვნახულობენ?

– მყავს ხუთი შვილიშვილი, ოთხი გოგო და ერთი ბიჭი. უფროსი ქალიშვილი

დღესასწაულის აღნიშვნას კომუნისტური ელფერი დაპკრავდა, მაგრამ ქალისადმი დამოკიდებულება ამით იერსახეს არ კარგავდა.

მე თუ მკითხავენ ახლად დაწესებული დღის აღნიშვნის მომხრე ვარ, მაგრამ იყოს ორივე დღესასწაული, ქალბატონები ნამდვილად იმსახურებენ.

ხელმძღვანელად მუშაობის პერიოდში ცვდილობდით უწყობადად არ დამტკოვებინა თანამშრომელი მანდილოსნები და მ მართის აღსანიშნავად მცირე საჩუქრებით არ გაუმხარებინა.

– რას უსურვებდით ქალბატონებს უმშვენიერეს დღესასწაულზე?

– ქალბატონებო, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და უღვივ სისარულს! იყავით მუდამ გაზაფხულოვით ლამაზები!

ესაუბრა ალექსანდრე ბიბილოშვილი



შაქრიანი დიაბეტი დაავადებული 422 მილიონი ახალგაზრდა – ასეთია მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის 2016 წლის მონაცემები. დიაბეტის მსოფლიო ფედერაციის (დმფ) პროგნოზით, 2040 წლისთვის შაქრიანი დიაბეტი მსოფლიოში 642 მილიონ ადამიანს დაუდასტურდება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შაქრიანი დიაბეტის გავრცელების არეალი განვითარებულ ქვეყნებში უფრო მაღალია. დმფ-ის ცნობით, 2015 წელს შაქრიანი დიაბეტთან ასოცირებული მიზეზით 5 მილიონი ადამიანი დაიღუპა. დიაბეტის გართულებების გამო ყოველ 6 წაში 1 ადამიანი იღუპება. შაქრიანი დიაბეტის გართულებების სამკურნალოდ კი აშშ-ში ყოველწლიურად მილიონი დოლარი იხარჯება.

ძირითადად შაქრიანი დიაბეტის ორ ტიპი გამოიყოფა: ტიპი 1 და ტიპი 2, სხვა ტიპები შედარებით იშვიათად გვხვდება. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ტიპი 1-ის შემთხვევაში საქმი გვაქვს ინსული-

# დიაბეტთან ბრძოლის თანამედროვე საშუალება, რომელიც სრულყოფილი ცხოვრების შესაძლებლობას გთავაზობთ

ნის აბსოლუტურ დეფიციტთან, ხოლო ტიპი 2-ის შემთხვევაში ინსულინის შედარებით უკმაირისობასთან, რაც გამოიხატება ინსულინ რეზისტენტობით, ანუ ქსოვილები რეზისტენტული (მდგრადი) არიან არსებული ინსულინის მიმართ. მათი მკურნალობაც განსხვავებულია. ტიპი 1 დიაბეტის დროს აუცილებელია ინსულინოთერაპია, ხოლო ტიპი 2-ის შემთხვევაში განიხილება სხვადასხვა პერიოდული შაქრის დამწევი მედიკამენტი და რიც შემთხვევებში – ინსულინოთერაპია.

დიაბეტოლოგთა ასოციაციები მსოფლიო მასშტაბით დიდი ხანია პაციენტთათვის მკურნალობის საუკეთესო მეთოდებს ეძებენ. ინსულინით მკურნალობის გასამარტივებლად შეიქმნა ინსულინის სხვადასხვა მედიკამენტები, შპრიცები, ე.წ. შპრიც-კალმები. სწორედ ამ მიზნით ვერ კიდევ 1960 წელს შეიქმნა ინსულინის პირველი ტუმბო, როგორც ინსულინის უწყვეტ რეჟიმში მიმწოდებელი საშუალება, რომელიც ამერიკულმა ფირმა MEDTRON-IC-მა შესთავაზა მომხმარებლებს. მას შემდეგ დიზაინი და ფუნქციური მაჩვენებლები უმჯობესდებოდა, იხვეწებოდა და დღეს უკვე არსებობს ისეთი ტუმბო, რომელსაც თავისუფლად შეგიძლია ვუწოდო „ხელოვნური პანკრეასი“.

საზღვარგარეთ ინსულინის ტუმბოს გამოყენების დიდი გამოცდილება არსებობს. საქართველოში კლინიკა „დიაკორი“ ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც პაციენტებს ინსულინით მკურნალობის ყველაზე კომფორტული და თანამედროვე მეთოდი, ინსულინის პომპთერაპია შესთავაზა. კლინიკა მკურნალობის ამ მეთოდს იყენებს 2012 წლიდან. ინსულინის ტუმბოს შესახებ ინფორმაცი-

ისთვის კლინიკის ენდოკრინოლოგს, ინსულინის პომპთერაპიის ექსპერტს ნინო ნადირაძეს მივმართეთ.

## რა არის ინსულინის ტუმბო?

ეს არის მობილურ ტელეფონზე გაცილებით უფრო პატარა აპარატი, რომელსაც ორგანიზმში პერმანენტულად შეჰყავს ინსულინი მცირე დოზებით, ისე, როგორც ამას შაქრიანი დიაბეტამდე თქვენი კუჭქვეშა ჯირკვალი აკეთებდა. თავისუფლად შეგიძლიათ ატაროთ ტუმბო ჯიბით, მიიმარტოთ ქაშარზე ან დამალთ ტანსაცმლის ქვეშ. იგი წერილი საინფორმაციო სისტემით უკავშირდება ორგანიზმს და წებისმიერ დროს, საჭიროების შემთხვევაში, თვითონვე შეგიძლიათ მოიხსნათ. ტუმბო იმდენად პატარაა, რომ დროთა განმავლობაში მისი არსებობა საერთოდ დაგაუჩინებდათ. შეგიძლიათ, ისე დამალთ ტანსაცმლის ქვეშ, რომ სხვამ საერთოდ ვერ შენიშნოს.

## რატომ არის პარტი ინსულინის ტუმბო და რითი სსურს ინსულინის მიწოდების სხვა საშუალება?

პარტიის მონიტორზე შეგიძლიათ 24 საათის განმავლობაში აკონტროლოთ თქვენი გლიკემიის მაჩვენებლები. ტუმბო „თავისუფლებას“ გაძლევთ, ანუ შეგიძლიათ მიირთვათ საქმელი მამინი, როცა მოგესურვებათ. დღილობით იძირით დიდხანს და არ იფიქროთ იმაზე, რომ ინსულინის ინიექცია გაცეთ გასაკეთებელი. შესაბამისად, შეგიძლიათ იცხოვროთ სრულყოფილი ცხოვრებით, როგორც ეს იყო ადრე, შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზის დასამდე.

ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ინსულინის ინიექციების გაცემა აღარ გჭირდებათ. მაგალითად, მოგესურვათ მიირთვათ საქმელი? ამისთვის მხოლოდ ორ ლილაკზე ხელის დაჭერა საკმარისი და ორგანიზმში საჭირო რაოდენობის ინსულინი შევა. თქვენს ტუმბოში არსებული პროგრამა „ბოლუსი კალკულატორი“ ავტომატურად განსაზღვრავს ინსულინის რაოდენობას იმ საკვებისთვის, რომლის მიერთვესაც აპირებთ.

ჯირკვალის მხოლოდ ჩვენს კლინიკას შეუძლია შემოთავაზოთ მსოფლიოში ყველაზე მაღალკაიფიდადი და თანამედროვე MEDTRONIC-ის ტუმბოს მოდელი. მათ შორის გამოირჩევა VEO, რომელსაც აქვს განსხვავებული ფუნქცია, კერძოდ, აპარატი დაბალი გლიკემიის დროს ორგანიზმში ინსულინის შეყვანას ავტომატურად წყვეტს. მსოფლიოში კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვის პროცესშია „ხელოვნური პანკრეასის“ ის მოდელიც, რომელიც თავად ცვლიან ინსულინის დოზებს გლიკემიის მაჩვენებლების მიხედვით.

## ვის სჭირდება ინსულინის ტუმბო?

ინსულინის ტუმბო სჭირდება მას, ვისაც აქვს:  
• დეკომპენსირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1, ტიპი 2  
• ხშირი ჰიპოგლიკემიები  
• გეგმაზე ორსულობას. პომპური თერაპიის დაწყება საჭიროა ორსულობის დადგომამდე მინიმუმ 3 თვით ადრე და უნდა გაგრძელდეს მთელი ორსულობის და ლაქტაციის პერიოდი  
• ლაბილურად მიმდინარე შაქრიანი დიაბეტი გართულებებით და გართულებების გარეშე

• ვისაც უზრალოდ სურს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება  
რატომ უწოდებენ ინსულინის ტუმბოს მე-20 საუკუნის აღმოჩენას და მოიხსენიებენ, როგორც „ხელოვნურ პანკრეასს“?

ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს.  
• ინსულინის კანქვეშა ინიექციების დროს პაციენტი იყენებს გახანგრძლივებულ ინსულინს, რომლის ათვისების პროცესში მარცხენი მარცხენი საკმაოდ დაბალია (52%), განსხვავებით ულტრაანმოკლე მოქმედების ინსულინის, რომელიც გამოიყენება ტუმბოში (არ ათვისება მხოლოდ დაახლ. 3%). შესაბამისად, ტუმბოს საშუალებით ხდება პანკრეასის მუშაობის იმიტაცია.

• ტუმბოს საშუალებით ინსულინის მიწოდება ხდება მიკრო-წვეთებით, რაც მაქსიმალურად უახლოვდება პანკრეასის მიწოდების გამოყოფის ფიზიოლოგიურ პროცესს. ეს კი საშუალებას იძლევა ვაკონტროლოთ გლიკემია და თავიდან ავიცილოთ გლუკოზის ციფრების მკვეთრი ცვალებადობა დღე-ღამის განმავლობაში სხვადასხვა აქტივობების – კვების, ძილის, ფიზიკური დატვირთვის და სხვ. ფიზიოლოგიური მდგომარეობის დროს.  
• აღარ დაგჭირდებათ მკაცრი აკონტროლოთ კვების რეჟიმი, ვინაიდან თქვენ თვითონ გადაწყვეტთ როდის იკვებოთ და რა რაოდენობით.

დასკვნის სახით მინდა, ვთქვა, რომ თქვენ, უზრალოდ, იცხოვრებთ სრულფასოვანი ცხოვრებით „ხელოვნურ პანკრეასთან“ ერთად.  
ambebi.ge



# ყველა ქალს, ყველა დედას ვულოცავ ამ მშვენიერ დღესასწაულს



17 თებერვალს, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო მუზეუმმა პოეტ ნელი თეატრში უმასპინძლა, სადაც მოეწყო, ახალი საბავშვო წიგნის „ჩიტის ნამღერი დილა“-ს პრეზენტაცია. ღონისძიების ავტორი გახლდათ ყვარლის კულტურის სახლის ლიტერატურული კლუბის კოორდინატორი ქალბატონი მანანა შატავიძე.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ყვარლის მეორე საჯარო სკოლის მეორე კლასების მოსწავლეები (დამრიგებლები-ია გელაშვილი და თამილა ბუჯიაშვილი), რომლებმაც წაკითხეს პოეტის ლექსები. ქალბატონ ნელის ლექსზე შესარულად სიმღერა ანსამბლმა „ანაბანაშ“ (ხელმ. მია მამულაშვილი) ასევე, შესანიშნავად იმღერა პატარა მომღერალმა ბარბარე სეფაშვილმა. (მუსიკის ავტორი ლილია ელიოზაშვილი). პოეტს და საზოგადოებას სიტყვით მიმართა დუბის ლეთისმშობლის ეკლესიის მოძღვარმა მამა ბადრომ.

ქალბატონი ნელი არის ხუთი წიგნის ავტორი. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

რამდენადაც მის შემოქმედებას ვიცნობ ვთვლი, რომ ქალბატონი ნელი ერთერთი საუკეთესო პოეტია, რომლის ლექსებიც სავსეა სიყვარულით, სილამაზით და სათნოებით. მით უფრო, რომ ამ ლექსების დიდი ნაწილი ბავშვებს ეკუთვნის.

– ქალბატონი ნელი, მინდა ახალი წიგნის გამოცემასთან ერთად მოგილოცოთ გაზაფხულის უმშვენიერესი დღესასწაულები 3 მარტი და 8 მარტი, გისურვებთ ბედნიერებას, მრავალი წარ-

მართო“, თქვენთვის რა არის პოეზია?  
– ვეთანხმები ამ გამოხატულებას. პოეზია არის რაღაც გულსტიკივით გამოძახილი, მაგრამ ის ჩემთვის მეტია. არსობის თავისთავადი მოთხოვნაა.

– ვინ არის პოეტი – ვისაც ხალხი აღიარებს, თუ ვისაც ჰგონია?  
– ჩემი აზრით ერთი და მეორეც. თუმცა, აღიარება ხშირად გვიან მოდის, პოეტი უფრო ადრე გრძნობს ამ მადლს.

– პოეტებად იბადებიან თუ ხდებიან?  
– პოეტებად იბადებიან, მაგრამ ცხოვრებაც დიდ როლს თამაშობს პოეტურ განზომილებაზე.

– რა ახდენს გავლენას თქვენზე, რომ ლექსები წერთ?  
– ლექსებს დიდი გრძნობები განერინებს. ხშირად ეს გულსტიკივითაა, სამწუხაროდ.

– როცა მუზეუმი დუმან...  
– როცა მუზეუმი დუმან, ან ძალიან ბედნიერი ხარ, ან ძალიან უბედური.

– თქვენს შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შესანიშნავ საბავშვო ლექსებს. ასევე, ყოველდღიური



საქმიანობიდან გამომდინარე, მთლიანად დაკავშირებული ხართ ბავშვებთან. რას გეუბრები ბავშვებზე, რა გავლენას ახდენს ეს მომენტი თქვენს შემოქმედებით ცხოვრებაზე?  
30 წელია საბავშვო დანერგულებას ვებმძღვანელობ და ახლოს ვარ მათ სამყაროსთან. პოეზია სიყვარულის ღირსეული საბავშვო მწერლობაა კი მთლიანად სიყვარულია ბავშვებისადმი. ვფიქრობ, კიდევ ბევრი მათგანს გასაკეთებელი და დასაწერი მათთვის.

– როგორც პოეტი რას გრძნობთ მკითხველებთან?  
– ზოგიერთი მკითხველი რაღაცნაირად ეხება პოეტს სულიერ სამყაროს, მონონებას აქედან მოდის. ამას სულ გრძნობს პოეტი. ამიტომ მკითხველს გააჩნია.

– ლექსების გარდა რას წერთ?  
– ლექსების გარდა ვწერ სიმღერებს, წერილებს, შეგონებებს (რომელსაც ვერ ფიქრები ქვია). ასევე, ასტროლოგია მინტერესებს და ვეგებამ ამ თემაზე უახლოეს მომავალში წიგნის გამოცემას. მეტიც, ვფიქრობ ყოველი წუთი და წამი გვიანდება და თანამედროვე ადამიანი უიარაღო, უსუსური და სირაქლემას პოზიციაშია.

– როგორ დამოკიდებულა გაქვთ კრიტიკასთან?  
– ჩემი აზრით, ყველა მწერალმა იცის

საკუთარი შემოქმედების დადებითი და უარყოფითი მხარეები. კრიტიკას აზრი არა აქვს და არც სასიამოვნოა.

– ხშირად აღიარება დაუმსახურებლად ხდება...  
აღიარებას რაც შეეხება ყველასთვის გვიან მოდის, დრო კი უტყუარი შემფასებელია.

– ამბობენ, საქართველოში ყველა მეორე ადამიანი ლექსებს წერს. როგორ გგონიათ, ვინც ლექსებს წერს ყველა პოეტია?  
– ყველა ლექსის დამწერი, რა თქმაუნდა არ არის პოეტი.

– როგორ სამყაროში ისურვებდით ცხოვრებას?  
– მიყვარს მოსიყვარულე, კეთილი, გულსხმიანი ადამიანები. ასეთ სამყაროში ცხოვრება იქნებოდა ყველასთვის სასურველი. რა თქმაუნდა ჩემთვისაც.

– ბედნიერება ილუზია?  
– არასოდეს. ან ბედნიერი ხარ, ან უბედური. ყველს ვერ მოატყუებ.

– როგორ მიულოცავდით ქალბატონებს 8 მარტს?  
– ყველა ქალს, ყველა დედას ვულოცავ გაზაფხულის ამ მშვენიერ დღესასწაულს. ვუსურვებ სიყვარულს, კიდევ უფრო მშვენიერებას სულისას, სორცისას, კეთილგანწყობას და კეთილგონიერებას, რამეთუ დღესადამა დამოკიდებული როგორც ოჯახის, ასევე ქვეყნის ბედი და ძლიერება ქალზე.

ესაუბრა  
ია გიგიაშვილი

## აღიარებას რაც შეეხება ყველასთვის გვიან მოდის, დრო კი უტყუარი შემფასებელია

მატებები, როგორც პირად, ასევე შემოქმედებით ცხოვრებაში. რას გეუბრები საკუთარ თავზე, ვინ არის ნელი თეატრი?  
– ამბობენ, ძნელია საკუთარ თავზე ლაპარაკი. ძნელი იმდენად არაა, რამდენადაც რთული. თვითშეფასებისას ზომიერი და სამართლიანი უნდა იყო, არც უნდა გადაჭარბო და არც უნდა დააკლო, პიროვნება უნდა იყო. ჩემი აზრით ნელი თეატრი ნელი არის პიროვნება.

– გვესაუბრეთ თქვენი წიგნების შესახებ...  
– ვარ ხუთი წიგნის ავტორი. აქედან 2 საბავშვოა. პირველი საბავშვო წიგნი „მზის ამოსვლის დროს“, 2005 წელს დაიბეჭდა. მეორე – „ჩიტის ნამღერი დილა“ კი 2015 წელს. დანარჩენი სამი წიგნი – „შენ გვირილები დაგმუხვნიდებოდა“, „სიყვარულის საზღვარი“, „სიყვარულის უფლება“, ლირიკული კრებულებია. „სიყვარულის უფლება“ ბოლო წიგნია, რომელიც 2016 წელს დაიბეჭდა. როგორც ამბობენ და ეს ჩანს კიდევაც ჩემს წიგნებში, ჩემი ლექსები მღერადა. მრავალი სიმღერა შექმნა ჩემს ლექსებზე, ალბათ იმიტომ, რომ მიყვარს მუსიკა და ეს მუსიკა ჩადებულა ლექსებში.

– თომას მანი ამბობდა: „პოეზია ნატივი შურისძიება უხეში სამყაროს მი-



# ... ვცდილობთ სტუმრები დავაინტერესოთ ქართული კუხნით და ბავშვებთან საქართველოს მდიდარი კუთხის კახური ტრადიციები



ტერიტორიული მდებარეობითაც და ინფრასტრუქტურით ყვარელი რომ ტურისტებისათვის მიმზიდველი ქალაქია, ამაში ვერაფერს შეგვიძლება. მისი სილამაზით და ადგილმდებარეობით თავად აქ ჩამოსული ტურისტების გაზრდილი ნაკადი ადასტურებს, ეს კი ხელს უწყობს ადამიანების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. თვითუფროს ოჯახი ახლა იმაზეა გადართული, როგორ გააძლიეროს ფინანსური მხარე – ამიტომ უკვე წლებია მოსახლეობის უმეტესობამ ოჯახური სასტუმროების ამენებასა და მის კეთილმოწყობას მიჰყო ხელი; ჩამოსულ სტუმრებს კი განსაკუთრებით ხიბლავს და კარგად აგემოვნებენ კახურ ლეიონებს; ერთი სიტყვით, დაქარბული ტემპით ვითარდება ღვინისა და სასტუმროების ბიზნესი ყვარლის მუნიციპალიტეტში, – ამათგან ერთ-ერთია გია და ნორა ოთარიშვილების ოჯახი, რომელთა ღვინის მარანი ტურისტების განსაკუთრებულ მონონებას იმსახურებს. თუ როგორ, საიდან დაეხმობათ ასეთი იდეა, ამასთან დაკავშირებით გავესაუბრეთ საოჯახო ღვინის მარნის დიასახლისს, ქალბატონ ნორა ოთარიშვილს.

## საოჯახო ტურიზმი ჩქაროსნული ტემპით ვითარდება და კარალელურად ვიზიტორთა რაოდენობაც მატულობს

– ქალბატონი ნორა, რატომ მაინც და მაინც ღვინის მარანი და არა სასტუმრო? რადგან დღესათვის ჩვენი რაიონის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უფრო ტურისტული სასტუმროების მშენებლობითაა დაკავებული. როგორ შეძელით ასეთი ლამაზი და კეთილმოწყობილი მარნის აშენება, ეს ხომ ბევრ წერილმანთანაცაა დაკავშირებული და საკმაოდ შრომატევადი საქმეცაა, – ქვეყრების შექმნა, მისი ჩაყრა, მოპირკეთება, – ეს ყველაფერი თქვენი ნახელებია, თუ?  
– საქართველოში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია „ელკანა“-მ 2016 წლის დეკემბერში საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, კერძოდ ყვარელში განახორციელა პროექტები, სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა დივერსი ბიზნესის განვითარების კუთხით.

ერთ-ერთი იდეა, რომელიც ჩვენთვის მისაღები აღმოჩნდა, შეეხებოდა საოჯახო ღვინის მარანს და მისი წარმოების გაფართოებას, სადაც ძველი ტრადიციული მეთოდით ხდება ღვინის დამზადება ქვევრებში.

პროექტი დაფინანსდა, რამაც საშუალება მოგვცა ოჯახს წამოგვეწყო ღვინის ბიზნესი.

ამჟამად ყვარელში, თაყაიშვილის ქ. №21-ში გახსნილია საოჯახო ღვინის მარანი. იგი ემსახურება როგორც ადგილობრივ ისე უცხოელ ტურისტებს.

ტურისტებს საშუალება აქვთ დააგემოვნონ ქვევრის ღვინო, დაესწრნენ არყის გამოხდას, ან უბრალოდ დაისვენონ მყუდრო გარემოში.

ჩვენი ოჯახი ოდითგანვე აწარმოებდა ღვინოს, გვაქვს ვენახი, მარანი, ქვევრები და ყველა საჭირო ინვენტარი.



– ჩვენს ეზოში დგას 100 წელზე მეტი ხნის ხეივანის ვაზი და მის „საპატივსაცემოდ“ ჩვენს მარანს დავარქვით „ძველი ვაზი“. ფეისბუქზე გახსნილი გვაქვს საკუთარი გვერდი – „ძველი ვაზი“, „სტარაია ლაზა“, „იდეოპო“. სახელწოდებით ტურისტები ჯერ-ჯერობით გვიკავშირდებიან გიდების საშუალებით.

– როგორ უმასპინძლებით ჩამოსულ სტუმრებს, რა სახის პროდუქტებით? მარტივად ღვინით თუ სხვა სერვისებსაც სთავაზობთ თქვენი მარანი.  
– ჩვენთან შემოსული სტუმრები ათვალიერებენ მარანს, ვაცნობთ ქვევრში და ხის სანახევლო დანურულ ღვინის ტექნოლოგიას, აგემოვნებენ ღვინოს; გასული წლის შემოდგომაზე სტუმრებს ჩაუტარებთ ჩურჩხლის და ბინკლის გაკეთების მასტერკლასებს. ტურისტებმა ხის სანახევლო ჩაყრილი ყურძენი თავად დაჭყუნეს და

დააგემოვნეს კიდევ. ახლადდანურულმა ტკიბილმა მათზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ახლო მომავალში დაგეგმილი გვაქვს თონის მონყობაც და მენიუმში ცხელი პური და ყველიც შევა. ასე, რომ ვცდილობთ სტუმრები დავაინტერესოთ ქართული კუხნით და გავაცნოთ საქართველოს მდიდარი კუთხის კახური ტრადიციები.

– საინტერესოა ისიც, ვისი მოყვანილი პროდუქტების და რეკანტიონის ჯიშის ღვინოებია.  
– ძირითადად ვთავაზობთ ჩვენს ნაკვეთში მოწყობილ საფარავის და რეკანტიონის ჯიშის ღვინოებს.

– შეგადგომთ თუ ფიქრობთ ღვინის მარნის გაფართოებაზე?  
– ვერჯერობით ტურისტები ნაკლებად გვყავს. ველოდებით სეზონის დაწყებას და მათი რიცხვიც აუცილებლად მოიმატებს. თუ გაგვიმართლა და ბიზნესი კარგად აუწყო, რა თქმა უნდა, მარნის გაფართოებაზეც ვფიქრობთ. ამას მომავალი გვიჩვენებს.

– გმადლობთ, გისურვებთ წარმატებებს.

ესაუბრა  
დალი ტატულიშვილი



# საქველმოქმედო კავშირმა „გრემის თემმა“ გამოაშენა უმასპინძლა



17 ივლისს საქველმოქმედო კავშირის „გრემის თემის“ ტერიტორიაზე საკუთარი წარმოების პროდუქტების გამოაშენა მოეწყო, რომლის ინიციატორი პოლონეთის განვითარების პოლიტიკის ფონდი იყო. გამოაშენაზე წარმოდგენილი იყო საქველმოქმედო კავშირის „გრემის თემის“ მიერ წარმოებული საკვები პროდუქტები, ახმეტის კავკასიელ ქალთა კოოპერატივ „არგონის“ life line (ლაიფ ლაინ) თიხის ჭურჭელი, სილნალის მუნიციპალიტეტის სოციალურ უმწიფოთა თერაპიის კავშირის თემი „ქედელის“ თევის ნანარმი, ჩირები და სამკურნალო მცენარეების ჩაი და სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის „ჩემი სოფელის“ კვერცი და პური.

გამოაშენის მოწყობის მნიშვნელობაზე ვესაუბრეთ პოლონეთის განვითარების პოლიტიკის ფონდის დირექტორის მოადგილეს სილვია შპასკოვსკას, რომელმაც აღნიშნა, რომ სამ პოსტსაბჭოთა (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო) ქვეყნებში ვახორციელებთ პროექტს, რომლის მიზანია გადაცემა ვიშეგრადის (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი) ქვეყნების გამოცდილება საკვები პროდუქტების დამზადებაში. გვინდა დავარწმუნოთ თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია ამ სფეროს მაღალ დონეზე განვითარებას რეგიონისთვის. ამასთან, ვცდილობთ რაც შეიძლება მეტი მცირე მენარმე ჩავერთოთ პროექტში და ხელი შევუწყობთ ტურისტული პროდუქტის განვითარებას.



პროექტის დონორია International Visegrad Fund – სადაც გაერთიანებულია პოლონეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის და უნგრეთის მიერ გამოყოფილი ფინანსები. ევროსტანდარტების დონეზე მომზადებული და დაფასოებული პროდუქტებით დაინტერესდებიან ტურისტები, ხოლო მათი რეალიზაციით მიღებული შემოსავალი ხელს შეუწყობს რეგიონის განვითარებას.

საქველმოქმედო კავშირის „გრემის თემის“ მომსახურე პერსონალი და ბენეფიციარები მადლობას უხდებიან პოლონეთის განვითარების პოლიტიკის ფონდის ხელმძღვანელობას სამზარეულოს კეთილმოწყობისათვის, ჭურჭლისა და ქვაბების, მაცივრების, ჭურჭლის სარეცხი მანქანის და ტურისტული ველოსიპედების შეძენისათვის.

ალექსანდრა გიგილოშვილი



## „ფიროსმანის“ საიუბილეო გამოაშენა

28 თებერვალს კოტე მარჯანიშვილის სახელობის ყვარლის თეატრში გაიხსნა შემოქმედთა გაერთიანება „ფიროსმანის“ საიუბილეო გამოაშენა. „ფიროსმანის“ დაარსებიდან 20 წელი გავიდა. დღევანდელი შეხვედრის, ისევე როგორც თვით გაერთიანების შექმნის იდეა ქალბატონ დოლო გელაშვილს ეკუთვნის. როლანდ მჭედლიშვილი, ვალოდია გელაშვილი, ნოდარ, ნანა და ლეილა ავაზაშვილები, ტრისტან ქოქიაშვილი, ავთო სამუკაშვილი, ჯემალ ნაზრიშვილი, ლონდა ჯიბუტი და ავთო ლუზოშვილი პირველი „ფიროსმანელები“ არიან.

„ფიროსმანმა“ ოფიციალურად რვა წელი იარსება. ამ რვა წლის მანძილზე მოეწყო რაიონული, რეგიონული და რესპუბლიკური მასშტაბის გამოაშენები. „ფიროსმანელთა“ ნამუშევრები გამოაშენილი იყო „ცისფერ“ და „ბავშვთა სურათების“ გალერეაში. ჩატარდა უამრავი ღონისძიება: შეხვედრა მონადირეებთან, „გინდ დაიჯერეთ, გინდ არა“, სარემარტო, სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი შეხვედრები.

არ დარჩენილა არც ერთი ისტორიული და ბუნებრივი ძეგლი, რომელიც „ფიროსმანს“ არ დაეღამებოდა.

მოგვიანებით „ფიროსმანელებს“ მუსიკოსებზე შეუერთდნენ. ჩატარდა არაერთი კონცერტი.

უშუქობის პერიოდში „ფიროსმანი“ იყო ერთადერთი ნათელი ნერტილი. გამოაშენას სტუმრობდნენ საქართველოში ჩამოსული ტურისტები.




მოგვიანებით საქართველოს სახალხო მხატვრის რუსუდან გოზალიშვილის პერსონალური გამოაშენა, რომელმაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

გამოაშენაში მონაწილეობდნენ: მხატვრები: როლანდ მჭედლიშვილი, ვალოდია გელაშვილი, ბეჟან კობიაშვილი, მარინე ზანდარაშვილი, ლინდა ჯიბუტი, მარიამ მამამთავრისძე, მარიამ ხარაშვილი, მერაბ ჩარეიშვილი, ვახტანგ ხარეზაშვილი (9 წლის), სოსიკო ფუტყარაძე (8 წლის), ვანიკო მაზანაშვილი (8 წლის), თამარიკო ჯავარაშვილი, მარიამ მაღრაძე (3 წლის).

მქარგველები: ნანა და ეკატერინე ავაზაშვილები, ლიკა მზეკალაშვილი, ხათუნა მჭედლიშვილი, გობელისის ოსტატი – მაკა გვანჯელაძე. ხეზე კვეთის ოსტატი – ნოდარ ავაზაშვილი.

დღევანდელი გამოაშენა საზოგადოებისათვის თავის შესხენებაა. „ფიროსმანელებს“ ყოველთვის გვერდში გვედგნენ რაიონის ხელმძღვანელები. „ფიროსმანელთა“ თხოვნა იქნება გამოიწვიოს ფართი, სადაც მოეწყობა მუდმივმოქმედი გამოაშენა, სადაც ხელოვანი ადამიანები მოახერხებენ თავიანთი ნამუშევრების გამოაშენა-გაყიდვას.

ნანა ავაზაშვილი















### ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის საკადრო ცვლილება



ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის ბ რ მ ა ნ ე ბ ა

№ 245-პ/მ 01 / მარტი / 2018 წ.

მ. ზარდიაშვილის ა(ა)იპ "ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრი"-ს დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-7 და მე-9 პუნქტების; საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ე, ქვეპუნქტის; ა(ა)იპ "ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრი"-ს წესდების მე-4 მუხლის "4.1" პუნქტის თანახმად

გზამკნებ:

1. დაინიშნოს მია ზარდიაშვილი (საიდენტიფიკაციო კოდი 241580240; პირადი N45001003507, მის: ქ. ყვარელი, დურუჯის ქ. N17, ელ ფოსტა: mzaradiashvili9@gmail.com) ა(ა)იპ "ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრი"-ს დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლად.
2. ბრძანება ძალაშია 2018 წლის 1 მარტიდან.
3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში ( მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. N24).

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი



ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის ბ რ მ ა ნ ე ბ ა

№ 136-პ/მ 20 / თებერვალი / 2018 წ.

დ. სოლომონიშვილის ა(ა)იპ "კულტურული მემკვიდრეობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების დაცვისა და განვითარების ცენტრი"-ს დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-7 და მე-9 პუნქტების; საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტის; 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის; ა(ა)იპ "კულტურული მემკვიდრეობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების დაცვისა და განვითარების ცენტრი"-ს წესდების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის თანახმად

გზამკნებ:

1. დაინიშნოს დიმიტრი სოლომონიშვილი (საიდენტიფიკაციო კოდი: 441554649; პირადი ნომერი: 45001024382, მის: ყვარელი, სოფ. ენისელი; ელ.ფოსტა: solomonakaxet1988@gmail.com) ა(ა)იპ "კულტურული მემკვიდრეობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების დაცვისა და განვითარების ცენტრი"-ს დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლად.
2. ბრძანება ძალაშია 2018 წლის 20 თებერვლიდან.
3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის.: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. N24).

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი

### გილოცვა ქეთევან ჭიკაშვილს!

გაზაფხულითი ღამაზსა და მშვენიერ ქალბატონს, მზესავით თბილსა და სხივმზიანად ადამიანს, კოლეგების ერთგულ მეგობარსა და დამცველს, პედაგოგთა მიძიმე შრომის პირობებში შემფასებელსა და დამაფასებელს უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, დედის დღესა და მ მარტს!

გისურვებთ ბედნიერ დედობასა და მუყაღობას, ხანგრძლივ სამსახურებრივ მოღვაწეობასა და კიდევ მრავალ ახალ-ახალ ნაღმებებს პირადსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

იხარეთ და იბედნიერეთ ჩვენდა საიმედოდ!

დიდი სიყვარულით თქვენი უამრავი პატივისცემული



### თავისუფალი ჭიდაობა

### შალვა ლუაშვილი საქართველოს ნაკრების წევრი გახდა

18-19 თებერვალს ჩვენს მეზობელ ქალაქ გურჯაანში გაიმართა საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 2003-2005 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ასპარეზობაში ხევა რაიონის გუნდებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი რაიონის მოჭიდავეებიც. შეჯიბრებაში, უნდა ითქვას, რომ (44 კგ. წონით კატეგორიაში) ბრწყინვალედ იასპარეზა შილდის პირველი საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ შალვა ლუაშვილმა, რომელმაც დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი და ჩაირიცხა საქართველოს ნაკრებში. ვულოცავთ შალვას ამ ნაღმებებს და ვუსურვებთ სულ გამარჯვებების გზით ევლოს. (მწვრთნელები მალხაზ როზომამილი, გივი მეტრეველი, ვანო ჭანტუაიძე).

დალი ტატულიშვილი

### დედავ სიცოცხლის დიდო საწყისო

დედა! – უსაყვარლესი ადამიანი, რომელიც სამშობლოს მამულიშვილებს უზრდის, უღვევ სიბოძის გასცემს და სამაგიეროს არ ითხოვს. ადამიანი, რომელიც, მთელმა სამყარომ რომ მიგატოვოს, მაინც შენს გვერდით იქნება. სიცოცხლესაც შეუოგნირავს და შვილის ნაცვალად, სიკვდილს შეგებება...

3 მარტს დედის დღესთან დაკავშირებით, ყვარლის კულტურის სახლმა, ზემო მოწყობით დიდი ილიას მუზეუმში.

დარბაზი დედებით გაივსო...

ლონისძიება გახსნა კულტურის სამსახურის უფროსმა ბატონმა ირაკლი მათიკაშვილმა, რომელმაც დედებს მიულოცა ეს ღამაზი დღესასწაული.

დედებს, სიხარული და შვილთა სიმრავლე უსურვა კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ქალბატონმა, მია ზარდიაშვილმა. მან დედებს გაახსენა ის მისია, რაც მათ დიდმა ილიამ დააკისრა.

"აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს, საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, შთაგონებამდე კაცთა სიყვარულს: ძმობას, ერთობას, თავისუფლებას!"

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს: ტრიო "თოლიამ", ფოლკლორულმა ანსამბლმა "ხეურომ" / ხელმძღვანელი ბატონი ირაკლი მათიკაშვილი/, ბავშვთა საესტრადო ანსამბლმა "მელოდიამ" / ხელმძღვანელი მედეა გეგეჭკორი/ და "ანა-ბანამ" / ხელმძღვანელი მია მამულაშვილი. მომღერალმა ქრისტინე დოლიძემ თავის ვაჟიშვილ ზაზა ცირიკაშვილთან ერთად, ანსამბლ "ბალანსეს" სოლისტმა თათია გელაშვილმა, /ხელმძღვანელი თათია ხიზანიშვილი/, მხატვრული კითხვის წრის აღსაზრდელებმა გიორგი ბიბილაშვილმა და სოფიო მირზიკაშვილმა, /ხელმძღვანელი მარია ავაზაშვილი/. საზეიმო კონცერტი მიჰყავდა კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელს – იზოლდა იოსებთან.



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად ავებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.	დირექტორი ალექსანდრა გიგილოშვილი მოადგილე ნუგზარ ღონიაშვილი	პასუხისმგებელი მდივანი ია გიგიაშვილი კორესპონდენტი დალი ტატულიშვილი	რედაქციის მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის №2 საკონტაქტო ტელეფონი: 22-01-86
--	--	--	--